პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 18 მაისი № 115 (16545) ფასი 2 კაპ. 1976


## მხოლოდ ხარისხოვნად

თბილისი. შეჯიბრების ცხარე დღეები აქვთ თბილგვირაბმშენის სამმართველოს (უფროსი გ. გოცირიძე) მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს, რომლებიც, თბილისის მეტროპოლიტენის გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მნიშვნელოვან ობიექტებს აგებენ.

განვლილ ოთხ თვეში გვირაბმშენებლებმა საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო გეგმა 114 პროცენტით გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო საკუთარი ძალებით შესრულებულ სამუშაოთა დავალება — 109 პროცენტით.

ყველა დავალება ვადამდე, მხოლოდ მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს! — ასეთია მშენებელთა შეჯიბრების დევიზი.

(„კომუნისტის“ კორ.).

## მეათე-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

## ხუთწლედი — ორწელიწადნახევარში

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრება თანდათან ფართოვდება. გორელ ფეიქართა კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალი ხუთწლედი ხამდვილად ეფექტური და ხარისხოვანი შრომის პერიოდი გახდეს. პირადად მე ცნობილ ფეიქარს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს თ. დოლიძეს ვეჯიბრები და გადაწყვეტილი მაქვს ხუთწლედი 2 წელსა და 6 თვეში გავანაღდო.

ამიტომ გაფართოებულ ზონაში ვშრომობ — ექვს სართავ მანქანას, ე. ი. 2400 თითისტარს ვემსახურები და ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებ. ეცდილობ ჩემს მიერ გამოშვებული ნაწარმი მხოლოდ საუკეთესო იყოს.

მ. ალგუთაშვილი,
გორის ბამბეულის კომბინატის № 1 სართავი ფაბრიკის მრთველი.

# კიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ, პიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრების მონაწილეებს. თქვენი შეკრება მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების შესრულებას.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პიონერთა ორგანიზაციასთან, რომელიც ვლადიმერ ილიასძე ლენინის სახელობისაა. პიონერთა რაზმებში და რაზმეულებში მილიონობით ბავშვი გადის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლას, სწავლობს, რომ იცხოვროს, იმუშაოს და იბრძოლოს ისე, როგორც დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინურ კომკავშირს პასუხსაგები დავალება მისცა — იყოს საბჭოთა პიონერიის კოლექტიური ხელმძღვანელი. თქვენ ღირსეულად წარმოადგენთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს პიონერთა ორგანიზაციაში. პარტია დიდად აფასებს თქვენს შრომას, ხელმძღვანელები მიაჩნია იდეოლოგიური ფრონტის აქტიურ მუშაკებად. ხელმძღვანელებს სიყვარულით უწოდებენ პიონერთა კომისრებს, ხოლო კომისრები, პოლიტმუშაკები, კომუნისტები მუდამ წინ არიან ბრძოლაშიც და შრომაშიც. თქვენ პიონერთა კოლონებს სათავეში უდგახართ, თქვენ გბაძავენ ნორჩი ლენინელები.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო მუდამ მამაშვილურად ზრუნავენ მოზარდი თაობისათვის. ყოველწლიურად ჩვენი ბავშვები იღებენ ახალ სკოლებს, საბავშვო თეატრებს, პიონერთა სასახლეებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებს, პიონერთა ბანაკებს, სტადიონებს, ბევრ სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებას.

ბავშვთა აღზრდა ჩვენს ქვეყანაში მთელი საბჭოთა ხალხის ღვიძლი საქმე გახდა. ოჯახის, სკოლის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, ფართო საზოგადოებრიობის მეცადინეობის გაერთიანება საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავწყვიტოთ ნორჩ მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები. სასიხარულოა, რომ პიონერთა და მოსწავლეთა აღზრდაში აქტიურად მონაწილეობენ შრომითი და მხედრული მამაცობით სახელგანთქმული გმირები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, საუკეთესო სპორტსმენები და სტუდენტები.

პიონერებთან მუშაობა რთული, უაღრესად პასუხსაგები საქმეა, რომელიც მოუყაითობას, დიდ პედაგოგიურ ოსტატობას, ღრმა ცოდნას, დიდსულოვნებასა და გულმხურვალებას მოითხოვს. ბეჯითად შეისწავლეთ მარქსისტულ-ლენინური თეორია — ლენინური პარტიის დოკუმენტები, საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერება, პიონერთა და მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მოწინავე გამოცდილება.

გაბედულად ატარეთ ნორჩი ცვლა მამების სახელოვანი გზით, აღზარდეთ უფროსი თაობების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ღირსეული გამგრძობნი. გახსოვდეთ: დღევანდელი ბავშვები ხვალ კომუნიზმის აქტიური მშენებლები იქნებიან.

სულითა და გულით ვუსურვებ პიონერხელმძღვანელებს, პედაგოგებს, პიონერულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველას, ვინც თავის ენერგიას, ძალღონესა და ცოდნას ახმარს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

# შევქმნათ პირუტყვის საკვების წლინაზევრის მარაგი!

## მხარს ვუჭერთ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას

## 16 მაისს კვირაობაზე

საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „1976 წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობის სრული გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ — მოწონებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ შეიქმნას საკვებმომპოვებელი ახალგაზრდული ბრიგადები, მოეწყოს კვირაობები და საზაფხულო არდადეგების დროს საკვებწარმოებაში ფართოდ ჩაბან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ტექნიკუმებისა და სკოლების მოსწავლეები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათი შრომის ეფექტიანობას.

პირველი კვირაობა 16 მაისს მოეწყო. რესპუბლიკის ბევრი რაიონის ახალგაზრდებმა ამ დღეს დიდძალი პირუტყვის საკვები დააგროვეს. დაბეჭდილ მასალებში მკითხველი გაეცნობა პირველი კვირაობის შედეგებს, საკვების დაგროვების მიმდინარეობას, ახალ ვალდებულებებს, ახალგაზრდების შრომას.



## წითელწყაროელთა მინდვრებში



შირაქსა და ტარიბანაში გაზაფხულის წვიმებმა ბალახი უხვად მოიყვანა. დადგა ყუათიანი თივისა და სენაჟის დამზადების დრო. კარგად შეკეთებული და ხათიბად გამზადებული მანქანები მინდვრად გაიტანეს და მწვანედ მობასხასე მდელოებში ბალახის თიბვაც დაიწყო.

თიბავენ და თიბავენ ბალახს! გრძელი რიგები უკან რჩება სათიბ მანქანებს. მინდვრად უკვე დატრიალდა ახლად გამხმარი თივის სურნელი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მინდვრები სოფლიდან არც თუ ისე შორს არის. შირაქის დასაწყისში მწვანე მდელოები, ნათესი ბალახები მთიბავებს მოუხმობს.

გამოიდარა თუ არა, მთელმა სოფელმა მინდორს მიაშურა. პირუტყვის საკვების დასაგროვებლად კვირას ქუდზე კაცი გავიდა. ვისაც კი ცელისა თუ ნამგლის, ფიწლისა თუ ხაჩქლის დაჭერა შეუძლია, შინ არ დარჩენილა, თივისა და სენაჟის დამზადებაზე მუშაობენ.

სურათებზე: ქვემოთ ჯაფარიძელი მექანიზატორი — ბრიგადირი უ. ლეკაშვილი მინდვრად; ზემოთ — სასენაჟე მწვანე მასის დამზადება ჯაფარიძის კოლმეურნეობის მინდვრებში.

ს. ბოლქვაძის ფოტო.

## მეტი ტემპი, პასუხისმგებლობა!

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას პირუტყვის საკვების მეტი რაოდენობით დაგროვების შესახებ.

შარშან რაიონში პირუტყვისათვის საკვების მწვავე ნაკლებობა იყო. ახლა ყოველი ღონისძიებით ცდილობენ, რომ არ განმეორდეს შარშანდელი მდგომარეობა. კვირას არ ისვენებდნენ რაიონში. ამ დღეს წვიმდა, მაგრამ საკვებმომპოვებლები მაინც გავიდნენ სამუშაოდ. ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველ აგროუბანში (უფროსი ა. კვირიკაძე) ათობით ტონა თივა გათიბეს.

ვარციხელებს არც წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. სირბილაძე) მშრომელები ჩამორჩნენ.

დ. გედენიძე.

## ლაშქრობა დაიწყო

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმებისათვის საკვებით უზრუნველყოფის კვირაობაზე ყვარლის რაიონის მშრომელებთან ერთად მასობრივად გამოვიდნენ კომკავშირელები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მათი ძალებით მარტო ერთ დღეს 70 ტონაზე მეტი თივა დამზადდა.

თავი ისახელა ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის, საბუის საბჭოთა მეურნეობის, გავაზის კოლმეურნეობის, ყვარლის მეორე საშუალო სკოლის და სხვა საწარმო-დაწესებულებების კომკავშირულმა ახალგაზრდობამ.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## პიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრება

17 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა პიონერხელმძღვანელთა სრულიად საკავშირო შეკრება. 1200 ქალიშვილი და ვაჟი ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოვიდა მოსკოვში.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრების მონაწილენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

შეკრებილთ მიესალმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

მოხსენებები გააკეთეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. ვ. ფედულოვამ და სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა.

შეკრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს თავიანთი საშეფო ნორჩი ლენინელების საინტერესო საქმეებზე.

18 მაისს შეკრება განაგრძობს მუშაობას. (სატდესი).

## 16-17 მაისი

## „პრავდის“ ფურცლებზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეხუთე ტომი. ამის გამო „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია ვრცელი სარედაქციო წერილი—„ლენინური კურსით კომუნიზმისაკენ“, რომელსაც დღეს „კომუნისტი“ ბეჭდავს.

კინემატოგრაფისტთა ყრილობის შედეგებს ეძღვნება გაზეთის მოწინავე — „ჩვენი ეპოქის გმირები“.

ხელოვნება, როგორც ბრძოლის მრჩეველი, — წერს გაზეთი, — უფრო აქტიურად უნდა ავუმხარებდეს კომუნისტური რწმენის, ახალი ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებაში. მხატვრული საშუალებებით ხელს უნდა უწყობდეს პოლიტიკურ, შრომით და ზნეობრივ აღზრდას. სოციალისტური თანაცხოვრების მორალურ საფუძვლებს რომ განამტკიცებს, ხელოვნების ვალია აგრეთვე ამხილოს ბიუროკრატიზმი, პატივმოყვარეობის, მომხვეჭელობის, ადამიანის მიმართ გულგრილობის, მეშჩანური და წვრილ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამოვლინებები, რაც ჩვენი წყობილების თვით არსს ეწინააღმდეგება.

გუშინდელი ნომრის მეთაურ წერილში („სახვრებზე გახვლის წინ“) გაზეთი წერს: პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სოფლის მშრომელთა მეცადინეობას წარმართავენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება, მეტი ყურადღება დაუთმონ დარგის კადრების განაწილებასა და აღზრდას. საძოვრებზე პირუტყვის მოვლაში გამოცდილი ხარქლების, საკვების დამზადებაში კი ამ საქმის სპეციფიკის მცოდნე მექანიზატორების ჩაბმა, ადამიანთა შრომის ჯეროვნად მოგვარება, მათი ყოფა-ცხოვრებისა და დასვენებისათვის ზრუნვა — აი წარმატების მთავარი პირობები. პირადი მაგალითით, აქტიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით უზრუნველყონ ზაფხულის პერიოდში ფერმების პროდუქტიულობის მაქსიმალური ზრდა — აი სოფლის კომუნისტთა უპირველესი მოვალეობა.

მეათე ხუთწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 29-32 პროცენტით გაიზრდება. პარტიის XXV ყრილობის დავალებების შესრულების მიზნით ტრესტების, სამმართველოებისა და მთავარი სამმართველოების კოლექტივებმა უფრო აქტიურად უნდა დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. საინტერესოა კრასნოიარსკის მხარის მშენებელთა პრაქტიკა. მათ წარმოების სრული, კომპლექსური მექანიზაციისაკენ აიღეს კურსი. რუბრიკით „ყურადღება: გამოცდილება“ — გაზეთი აქვეყნებს მშენებლებთათვის საყურადღებო წერილს— „როგორ შევაიარაღოთ მშენებლები?“.

ПРАВДА

## გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტების, მშრომელების სახელით ძმურად მივესალმებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის დელეგატებს და მათი სახით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მთელ მშრომელ ხალხს.

ჩვენ გვახარებს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების მეოხებით ახალ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს განვითარების ყველა ძირითადი მიმართულებით — მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ეკონომიური პოტენციალი, უზრუნველყოფილია მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი პროგრესი, ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, განმტკიცდა სოციალიზმის მთელი პოლიტიკური სისტემა. ეს წარმატებები რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოოპერირებული გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია და მოწმობს, რომ სწორი და ეფექტიანია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკური კურსი, რომ მას მხარს უჭერს მთელი ხალხი.

უკანასკნელი წლების თვალსაჩინო მიღწევა გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის საყოველთაო ცნობა. ფართო საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის გამოსვლამ ასახა მისი ავტორიტეტის ზრდა. და ეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრული ერთობლივი მოქმედების შედეგია, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მკაფიო მაგალითია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებისათვის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ მან უნდა მიიღოს პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც დასმულია ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობა და ამით კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლისათვის ძირითადი წინაპირობების შექმნა.

როგორც თქვენი მეგობრები და საერთო საქმეში თანამებრძოლები, გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებით განახორციელოთ თქვენი გეგმები,ააშენოთ განვითარებული სოციალიზმი გერმანულ მიწა-წყალზე!

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, მშრომელებს ურღვევი მეგობრობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება აკავშირებს. ამჟამად ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს, იგი არსებითი ფაქტორი გახდა ორივე ქვეყანაში სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში. დიდად ვაფასებთ ჩვენი პარტიების შეხედულებათა ერთიანობას, ურთიერთპატივისცემასა და ნდობას, კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური კავშირის გაღრმავებისა და განვითარებისათვის ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს წვლილს, რომელიც გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შეაქვს სოციალისტური თანამეგობრობის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს განმტკიცებაში, მსოფლიო ასპარეზზე მოძმე ქვეყნების შეთანხმებული კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური რაზმია, თანამიმდევრულად და მტკიცედ იღვწის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე ყველა კონტინენტის კომუნისტების ერთიანი მოქმედებისათვის, გადაჭრით იბრძვის ანტიკომუნიზმისა და მაოიზმის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყოველგვარი ოპორტუნისტული დამახინჯების წინააღმდეგ.

წარმატებულ მუშაობას ვუსურვებთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობას.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის რევოლუციურ ავანგარდს — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას!

დაე ყვაოდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტთა ძმური კავშირი, ჩვენი ხალხების მარადიული მეგობრობა!

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

## ბერლინში ყრილობაზე

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 17 მაისს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობაზე მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ე. ვოსი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ი. არისტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. კაჩურა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. მ. კრუგლოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი პ. ა. აბრასიმოვი.

იმავე დღეს დელეგაცია ბერლინში ჩავიდა. (სატდესი).

## ოფიციალური ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 17 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი.

ვნუკოვოს აეროპორტში ამხანაგ სამორა მოიზეს მაშელს, დელეგაციის სხვა წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

# ორი მოძმე ხალხის ღვიძლი შვილი



### მიტინგი გ. სუნდუკიანის საფლავზე

კაცობრიობის ისტორიაში ხშირად ყოფილა, რომ ერთი ხალხის შვილი, რომელიც სხვა ხალხში გაიზარდა, მის კულტურასა და ტრადიციებს ზიარებია და ორივე ხალხის შვილი გამხდარა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი გახდა დიდი სომეხი მამულიშვილის გაბრიელ სუნდუკიანის ბედი, რომლის დაბადების 150 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა.

სომეხი ხელოსნის — თბილისელი მოქალაქის შვილი გ. სუნდუკიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი მრავალტანჯული სომეხი ხალხი, ოცნებობდა და იბრძოდა მისი ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის, ქართველი ხალხის ღვიძლი შვილიც გახდა. მან თბილისში დაწერა თავისი საუკეთესო ქმნილებანი, თავისი გული გაუდო მეგობრობის გზად და ხიდად ორ მოძმე ხალხს. ეს ხიდი გამაგრდა და ბურჯად გადაიქცა დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ. ამ ხიდით დღესაც ძმებივით მიილტვიან ერთმანეთისაკენ სომეხი და ქართველი ხალხები.

გ. სუნდუკიანის აღმზრდელმა ქართულმა მიწამ მიიბარა იგი. 26 კომისრის რაიონის ხალხთა მეგობრობის პარკში მისი საფლავისაკენ მიმავალ ბილიკზე ბალახი ვერ ამოსულა. აქ მის გვერდით განისვენებენ სომეხი ხალხის გამოჩენილი შვილები რაფი, ოვანეს თუმანიანი, ნარ-დოსი და სხვები — ისინი, ვისი სახელიც, სუნდუკიანის მსგავსად, ორივე ხალხს ეკუთვნის, ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის.

გ. სუნდუკიანს უყვარდა თავისი ქალაქი — მშობლიური თბილისი, უყვარდა ფაქიზი სიყვარულით. ასეთივე სიყვარულით არის გამსჭვალული ეს ქალაქი „პეპოს“ ავტორისადმი, იმიტომ, რომ დაგვიხატა პეპო — ღარიბი მებადური, რომლის სახე გასცდა ლიტერატურული გმირის ჩარჩოებს.

მზიან 17 მაისს ათასობით თბილისელი შეიკრიბა გ. სუნდუკიანის საფლავთან მიტინგზე, რომელიც მწერლის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოძმე სომხეთიდან ჩამოვიდა დელეგაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. დალაქიანის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან სოციალისტური შრომის გმირი ს. პეტროსიანი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: მიტინგი გ. სუნდუკიანის საფლავზე, მიძღვნილი მისი დაბადების 150-ე წლისთავისადმი.
ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეხუთე ტომის გამოსვლის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ...სა და საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების საფუძველზე.

1970-1974 წლებში გამოვიდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების ოთხი ტომი „ლენინური კურსით". პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ ახლახან გამოშვებული მეხუთე ტომი შეიცავს 1974-1976 წლებში წარმოთქმულ სიტყვებსა და გამოსვლებს. იგი მთავრდება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებითა და სიტყვით სკკპ XXV ყრილობაზე. ტომში შესულ ყრილობის დოკუმენტებს სხვა მასალებთან ერთად უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს დოკუმენტები კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის იდეური შეიარაღებისა და პოლიტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

### 1.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომების მეხუთე ტომი „ლენინური კურსით" გვიჩვენებს საბჭოთა საზოგადოების — დინამიკურად მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური, მაღალკულტურული საზოგადოების შთამბეჭდავ სურათს. აქ ღრმად და ყოველმხრივ არის გაანალიზებული პარტიისა და ხალხის მიღწევები სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ტომის მასალები მკაფიოდ ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური კურსის მემკვიდრეობითობასა და თანამიმდევრობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. განაზოგადა რა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მრავალმხრივი საქმიანობა ახალი საზოგადოების მშენებლობის მთავარი მიმართულებებით, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გვიჩვენა განვლილი გზის ყველა ეტაპის, ყველა სოციალისტური ხუთწლედის განუყრელი, ორგანული კავშირი. „თითოეული ჩვენი ხუთწლედი,—აღნიშნა მან,—დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სამშობლოს ისტორიაში. თითოეული მათგანი თავისებურად საგულისხმოა, შეიცავს თავისი დროის განუმეორებელ ნიშნებს, და თითოეული მათგანი სამუდამოდ არის აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში. ამავე დროს ისინი განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან. ეს არის ერთი დიადი წიგნის შესანიშნავი თავები, რომელიც გვიამბობს ჩვენი ხალხის გმირულ შრომაზე სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ".

ტომში ვრცლად არის დახასიათებული, თუ როგორ სრულდებოდა და როგორი შედეგები მოჰყვა მეცხრე ხუთწლედს, რომელიც უბადლოა სამრეწველო პროდუქციის, კაპიტალურ დაბანდებათა აბსოლუტური მატებით. ისტორიას არ ახსოვს აგრეთვე ესოდენ ფართო სოციალური პროგრამაც, რომელიც შესრულდა ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. რაც ხუთწლედის მთავარი ამოცანა იყო. განვლილი ხუთწლეულის ეს საგულისხმო ნიშანი მთელი სისრულით არის ნაჩვენები მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში და სხვა გამოსვლებში.

წიგნში დიდი ადგილი უჭირავს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის პრობლემებს. დამაჯერებლად არის დასაბუთებული დასკვნა, რომ ახლა ეკონომიური ზრდის რაოდენობრივ ფაქტორებთან ერთად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თვისებრივი ფაქტორები.

ეს ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს ეკონომიკისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას. ამ მოთ- [illegible]

როგორც აღნიშნულია ტომის მასალებში, ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხებს უშუალო დამოკიდებულება აქვს სოფლის მეურნეობასთან. ცხოვრებამ დაადასტურა პარტიის აგრარული პოლიტიკის ძალა, იმ კურსის სისწორე, რომელსაც დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სრულყოფს რა მეურნეობისა და ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა რგოლის ხელმძღვანელობას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებას, რადგან მან თეორიულად უნდა დაამუშაოს პრობლემები, რომლებსაც წყვეტენ პარტია, სახელმწიფო, ხალხი. კომუნიზმის მშენებლობაში მეცნიერების როლის განუხრელი ზრდის კანონზომიერება ყოველმხრივ არის დასაბუთებული და გაშუქებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სიტყვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის უკანასკნელი ორი წლის გამოსვლები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ხუთწლეულის დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელებისათვის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გიგანტურ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიური განვითარების მიმართულებანი და ხასიათი სავსებით შეესაბამებოდა სკკპ XXIV ყრილობის პრინციპულ დებულებებსა და დირექტივებს, და ხაზს უსვამს: **„კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეცხრე ხუთწლედში გადაიდგა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. ასეთია XXIV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის ეკონომიური საქმიანობის პოლიტიკური შედეგი. ასეთია საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის მთავარი შედეგი"**.

მთელ ტომს წითელ ზოლად გასდევს აზრი ჩვენი გეგმების განხორციელებაში მშრომელი ადამიანების გადამწყვეტი როლის შესახებ. მათდამი, ვისი შრომაც კიდევ უფრო მშვენიერს, კიდევ უფრო მძლავრს ხდის სამშობლოს, წიგნში მიმართულია დიდი პატივისცემისა და მადლიერების აღმაღლვებელი სიტყვები. მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის განვითარებისათვის, მოწინავე გამოცდილებისა და მნიშვნელოვანი თაოსნობების ყოველნაირი გავრცელებისათვის პარტიული ზრუნვით არის გამსჭვალული ტომში შესული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ბევრი მისალმება და მილოცვა საუკეთესო კოლექტივებისა და მშრომელებისადმი, მეცხრე ხუთწლედის მოწინავეებისადმი. მოწინავეთა შრომითი წარმატებები, მათი პატრიოტული თაოსნობა, ნოვატორობა ამ არაჩვეულებრივად გულთბილ, ღრმად ადამიანურ დოკუმენტებში ღირსეულ შეფასებასა და მხარდაჭერას პოვებს. დიდი ყურადღება ეთმობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობასა და მისი ორგანიზაციის სრულყოფას.

საბჭოთა ადამიანების დიდ პოლიტიკურ და საწარმოო აქტიურობას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი ნიშანი უწოდა. ეს კომუნისტური შეგნებისა და კომუნისტური ხასიათის საფუძველთა საფუძველია, იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ მთელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის პოლიტიკას.

მშრომელთა იდეური აღზრდის, მათი ყოველმხრივი განვითარების საკითხები ფართოდ აისახა წიგნის ფურცლებზე. წიგნში აღნიშნულია, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში დიდ სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნებთან ერთად მიმდინარეობს ადამიანის საუკეთესო თვისებების — კომუნისტური საზოგადოების ადამიანის თვისებების ჩამოყალიბების აქტიური პროცესი. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის სულიერ ჩამოყალიბებას, რასაც დამაჯერებლად მოწმობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობაზე და სხვა გამოსვლები. საბჭოთა ადამიანების იდეური წრთობის მნიშვნელობა ღრმად არის ნაჩვენები დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „ჩვენი ძალის ცხოველმყოფელი წყარო იყო, არის და იქნება კომუნისტური იდეურობა. პარტიის უდიდესი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა იყო ჩვენი ძლევამოსილი იარაღი ომის დროს. იგი მძლავრი ფაქტორია დღეს ჩვენს წინაშე მდგომი გრანდიოზული საშინაო და საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტაში".

ტომში შეტანილი ნაშრომები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ორი წელიწადი აღსავსე იყო დიდი მოვლენებითა და საქმეებით. კიდევ უფრო გაიზარდა სამშობლოს ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ძლიერება. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, კიდევ უფრო განვითარდა ჩვენი სოციალისტური დემოკრატია. უკანასკნელ ორ წელიწადში და მთელი მეცხრე ხუთწლედის მანძილზე პარტიისა და ხალხის ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მტკიცე საფუძველი ჩაეყარა შემდგომ წინსვლას.

### 2.

სკკპ XXV ყრილობა უკანასკნელი წლების მთავარი პოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეხუთე ტომში ცენტრალური ადგილი უჭირავს ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას—„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში". შემოქმედებითი მარქსიზმის ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში სინთეზირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის მიერ შეძენილი კომუნისტური მშენებლობის გამოცდილება, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გამოცდილება, კონცენტრირებულია რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი დამუშავების შედეგები.

მოხსენება არაჩვეულებრივი სიღრმითა და მასშტაბურობით, ფართო განზოგადებებით და ამავე დროს საოცარი კონკრეტულობით გამოირჩევა: მის ყოველ სტრიქონში თვით მრავალფეროვანი ცხოვრების სუნთქვა იგრძნობა. მოხსენებას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ განვითარებული სოციალიზმის მანიფესტი. აქ მოცემულია ამ საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი ცხოვრების ვრცელი დახასიათება მათს მჭიდრო დიალექტიკურ ერთიანობაში, ნაჩვენებია სოციალიზმის როლი კაცობრიობას ისტორიულ პროგრესში, თვისებრივად ახალ დონეზე აყვანილი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კომუნიზმის მშენებლობის ობიექტური კანონზომიერებებისა და პარტიისა და ხალხის საქმიანობაში მათი გამოყენების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შინაარსს მთლიანად შეეფერება მარქსისტული თეორიისა და პოლიტიკის მეცნიერულობისა და პრაქტიკული მიზანდასახულობის ერთიანობის ლენინური დახასიათება. რომელიც სვამს საკითხებს „არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ახსნას წარსული, არამედ იმ აზრითაც, რომ უშიშრად განჭვრიტოს მომავალი მისი განხორციელებისაკენ მიმართული გაბედული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 72) მოხსენებაში ორგანულად არის შეხამებული კონკრეტული, მიმდინარე ამოცანების ანალიზი და კომუნიზმისაკენ ჩვენი შემდგომი წინსვლის გზების განსაზღვრა.

კომუნისტური მშენებლობის ძირეული პრობლემების გადაჭრისადმი ასეთი შემოქმედებითი, ლენინური მიდგომის ნიმუშია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ყოველმხრივ დასაბუთებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური სტრატეგია, რომელიც განუყრელად ერწყმის მის სოციალურ პოლიტიკას და თავის უმაღლეს მიზნად ისახავს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას.

ეფექტიანობისა და ხარისხის კურსი პარტიის ეკონომიური სტრატეგიის ღერძია, მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საგარეო-ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა — ასეთია თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემები.

სწორედ ამ კურსის თანამიმდევრული განხორციელება შექმნის ახალ შესაძლებლობებს, რათა გადავწყვიტოთ საპროგრამო სოციალურ-ეკონომიური ამოცანები — **„კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, მნიშვნელოვნად განვავითაროთ ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა — ყოველივე, რაც ხელს უწყობს ახალი ადამიანის, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას, სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას"**.

ჩვენს ქვეყანას ჯერ არასოდეს ჰქონია მატერიალური საშუალებებისა და რესურსების, კვალიფიციური კადრებისა და პრაქტიკული გამოცდილების ასეთი უზარმაზარი კაპიტალი. ასევე უდიდესია პასუხისმგებლობა იმისათვის, თუ როგორ გამოვიყენებთ ეს კაპიტალი, როგორ შევასხამთ უფრო სრულად ხორცი ახალ გიგანტურ შესაძლებლობებს. ამჟამად, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გადამწყვეტი რგოლი „ხდება ეკონომიკის ორგანიზაცია, ანუ მისი მართვის შემდგომი სრულყოფა ამ სიტყვის ყველაზე უფართოესი მნიშვნელობით". წიგნში ნაჩვენებია სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის, ახალ ამოცანათა დონემდე სამეურნეო მექანიზმის აყვანის გზები.

პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება დამაჯერებლად ადასტურებს, რომ განუხრელად იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — მშრომელთა ნაცადი პოლიტიკური ბელადი და ხელმძღვანელი. მაღლდება მისი როლი კომუნისტურ მშენებლობაში. განვითარებული სოციალიზმის პირობებში კომუნისტური პარტია მთელი ხალხის პარტია გახდა, მაგრამ სრულიადაც არ შეუცვლია თავისი კლასობრივი ხასიათი: თავისი ბუნებით იგი იყო და არის მუშათა კლასის, — ჩვენი საზოგადოების მთავარი ძალის პარტია. არაჩვეულებრივად გაიზარდა მისი ავტორიტეტი, ამავე დროს კი კიდევ უფრო ამაღლდა მოთხოვნები კომუნისტის თვისებებისადმი, მისი საქმიანობისადმი, პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების მუშაობისადმი.

„საბჭოთა საზოგადოების განვითარების დინამიზმი კომუნისტური მშენებლობის მზარდი მასშტაბი, ჩვენი საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დაბეჯითებით მოითხოვენ **ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, ადამიანთა აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის განუწყვეტელ ამაღლებას, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას"**.

განავითარა რა ეს დებულება, მან აღნიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მუშაობის ლენინური სტილი, შემოქმედებითი სტილი, რომლისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი და რომელიც გამსჭვალულია ყველა საზოგადოებრივი პროცესისადმი მეცნიერული მიდგომით. პარტია, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მას პრაქტიკულად, მუდმივ ყურადღებას უთმობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლსა და შემოწმებას, საკადრო პოლიტიკის სრულყოფას.

მთელ თავის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობას, მათ შორის კომუნისტური აღზრდის საქმეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აგებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე საძირკველზე. ამასთან მუდმივ ყურადღებას უთმობს მის შემოქმედებითს განვითარებას. პარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში წამოყენებულია ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მომწიფებული პრობლემები, დასახულია საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარების აქტიური ამოცანები, დებულებები დროის შესაბამისი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიმართულებებისა და საშუალებების შესახებ. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკასთან მისი განუყრელი კავშირის შესახებ. პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს მითითებას, რომ საჭიროა კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა შესაბამისად იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა.

მოხსენება ღრმად მეცნიერულად და მთლიანობაში აშუქებს განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა სრულვყოთ საბჭოების და სხვა სახელმწიფო ორგანოების მუშაობა, განვავითაროთ სოციალისტური კანონმდებლობა და სამართალი, რომლებიც გამოხატავს თუ რა უმთავრესი უპირატესობები აქვს სოციალისტურ დემოკრატიას, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება. საზოგადოებრივი განვითარების პრობლემების გადაჭრაში სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც აერთიანებენ სსრ კავშირის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას და შეადგენენ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განუყოფელ ნაწილს. ეს საზოგადოების საქმეების მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და მისი სიტყვები გამსჭვალულია ოპტიმიზმით, არჩეული კურსის სისწორის, ქვეყნის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის რწმენით. საბჭოთა ხალხი ენდობა პარტიას, მთლიანად უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მისი გაქანება, გმირობა. მისი ბრწყინვალე მიღწევები ჩვენი დიადი საქმის გამარჯვების საწინდარია.

### 3.

ბოლო წლები აღსავსეა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობით. ტომის მასალები დამაჯერებლად და მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ეფექტიან საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას. ღრმად აანალიზებს რა მსოფლიოს თანამედროვე ვითარებას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე მსოფლიო განვითარების საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემათა შემუშავებაში.

მკითხველის წინაშე იშლება ქვეყნად ძირეული სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნების, მზარდი მსოფლიო რევოლუციური პროცესის, სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შეცვლის შთამბეჭდავი პანორამა. კაცობრიობის სოციალური პროგრესის მთავარ მიმართულებას ამჟამად განსაზღვრავს სოციალისტური ქვეყნების განვითარება, მათი ძლიერების ზრდა, მათი საერთაშორისო პოლიტიკის კეთილნაყოფიერი გავლენის გაძლიერება.

წიგნის ბევრი მასალა ეძღვნება სოციალისტურ თანამეგობრობას — ჩვენი პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს მოძმე ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ახასიათებს სოციალისტურ თანამეგობრობას, როგორც სრულიად ახალი ტიპის კავშირს, რომელიც იმ ხალხთა ძმური ოჯახია, რომლებსაც საერთო მსოფლმხედველობით, საერთო დიადი მიზნებით, ამხანაგური სოლიდარობით და ურთიერთმხარდაჭერით შეკავშირებული მარქსისტულ-ლენინური პარტიები ხელმძღვანელობენ.

ჩვენი თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას ხელი შეუწყო პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთში, უნგრეთში, 1974-1976 წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტებმა, სსრ კავშირში სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა. მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ამხანაგური თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად სულ უფრო მჭიდრო ხდება მოძმე ქვეყნების ურთიერთ კავშირი, სულ უფრო მრავლდება საერთო ელემენტები მათს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში, თანდათანობით თანაბრდება მათი განვითარების დონე. ეს პროცესი, აღნიშნულია წიგნში, სრულიად გარკვეულად ვლინდება ახლა როგორც კანონზომიერება.

ტომის მასალებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელებას, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად ღრმავდება და სამეურნეო ურთიერთმოქმედება, ჩვენი ქვეყნების ეკონომიკები სულ უფრო მეტად ავსებს ერთმანეთს, რაც ძალიან ხელსაყრელია თითოეული მათგანისათვის. დღეს სოციალისტური თანამეგობრობა მსოფლიოში ყველაზე დინამიკური ეკონომიური ძალაა. ხვალინდელი დღე, უდავოა, კვლავ დაადასტურებს სოციალიზმის უსაზღვრო შესაძლებლობებს, კაპიტალიზმის წინაშე მის ისტორიულ უპირატესობას.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში, მიმდინარეობს ღრმა პროგრესული ცვლილებები, კლასობრივი ძალების გამიჯვნის რთული პროცესი, ძლიერდება კლასობრივი ბრძოლა. მნიშვნელოვნად მატულობს განვითარებადი სახელმწიფოების გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებს იმპერიალიზმი იმით უპასუხებს, რომ აძლიერებს თავის ხრიკებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხების წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობს გამოიყენოს თავისი ინტერესებისათვის ადგილობრივი რეაქცია.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალისტური ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთად მოქმედება. წიგნში ყოველმხრივ არის ნაჩვენები, თუ რა პრინციპულ, უანგარო მხარდაჭერას უწევს საბჭოთა კავშირი განვითარებადი ქვეყნების სამართლიან ბრძოლას. სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ განაცხადა: საბჭოთა კავშირი მთლიანად უჭერს მხარს ახალგაზრდა სახელმწიფოთა კანონიერ მისწრაფებებს, მათ მტკიცე გადაწყვეტილებას მთლიანად დააღწიონ თავი იმპერიალისტურ ექსპლოატაციას, თვითონვე განაგებდნენ საკუთარ ეროვნულ სიმდიდრეს.

ტომის მასალები დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკა ლენინურად პრინციპული, კლასობრივი და რევოლუციურია. საბჭოთა კავშირი მუდამ იმათ მხარეზეა, ვინც იბრძვის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. წიგნი გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. იგი სოლიდარობას უცხადებს საზღვარგარეთელ კომუნისტებს, რომლებიც იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში იბრძვიან, ფაშიზმის ტუსაღებს მშრომელთა საქმისათვის ყველა მებრძოლს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხაზს უსვამს, რომ ფხიზლად უნდა ვიყოთ საერთაშორისო რეაქციის ხრიკების მიმართ, ამასთან აღნიშნავს საზოგადოებრივი პროგრესის უძლეველობას. „იქნებ დროა გამოვიტანოთ ისტორიიდან ერთი მარტივი დასკვნა: სოციალიზმისაკენ წინსვლა ობიექტური პროცესია. იგი გამოხატავს ხალხთა ნებას, საზოგადოებრივი განვითარების შინაგან მოთხოვნილებებს. იგი უძლეველია. გინდა თუ არა, ამას ანგარიში უნდა გაუწიონ".

წიგნში დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების პრობლემების ანალიზს. მათ შორის პრობლემებს — ამ პროცესის სხვადასხვა ნაკადის ურთიერთმოქმედებას და ერთიანობას, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას; რევოლუციას. როგორც ქვეყნის საშინაო განვითარების კანონზომიერ შედეგს, სოციალური განახლების მძლავრ ბერკეტს; რევოლუციის მშვიდობიან და არამშვიდობიან გზებსა და მისი მონაპოვრების დაცვის საჭიროებას; დაძაბულობის შენელებასა და კლასობრივ ბრძოლას; მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების გზებს; კომუნისტური პარტიების ურთიერთობის პრინციპებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, რომლებსაც ტომი შეიცავს, გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით მსოფლიო კომუნისტთა შეკავშირებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად კლასობრივი პოზიციებიდან წყვეტს ომისა და მშვიდობის პრობლემებს. მარქსისტ-ლენინელებს მშვიდობის განმტკიცება მშვიდობიანი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. მშვიდობა თანამედროვე კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

წიგნის ფურცლები მკაფიოდ და კონკრეტულად ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ ბრძოლას დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრებისათვის. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების თანამიმდევრულ ღონისძიებათა შედეგად საერთაშორისო ცხოვრების რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პირობებში სულ უფრო ძლიერდება დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცების ტენდენცია. ახლა იგი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ძირითადი ნიშანი გახდა.

მკითხველი ხედავს, თუ რა შეუპოვრად და ენერგიულად იბრძოდა საბჭოთა კავშირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებისათვის. ჰელსინკის თათბირზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოუწოდა შეუდგნენ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციას, საერთაშორისო ურთიერთობაში დაამკვიდრონ საბოლოო აქტის პრინციპები და დანერგონ ისინი პრაქტიკაში. ევროპის მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტინენტად გადაქცევას ხელი შეუწყო საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შეხვედრებმა. სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ევროპაში ნამდვილად მტკიცე მშვიდობის მისაღწევად კიდევ ბევრი და შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო.

წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას. საქმე იმას ეხება, რომ უზრუნველვყოთ ამ ურთიერთობის განუწყვეტელი წინსვლითი განვითარება. ამ მიზანს ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებთან მოსკოვის, ვლადივოსტოკისა და ჰელსინკის შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ. „ჩვენ გვსურს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ნამდვილად სტაბილური გახდეს, არ იყოს დამოკიდებული კონიუნქტურულ მომენტებზე". ეს სიტყვები უაღრესად აქტუალურად ჟღერს ახლა, როცა ზოგიერთი ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსი არჩევნებისწინა კონიუნქტურული მოსაზრებებით ცდილობს შეაფერხოს სსრ კავშირთან მშვიდობიანი, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარება.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლა. პოლიტიკური დაძაბულობა რომ მკვიდრი გახდეს, საჭიროა მისი განმტკიცება სამხედრო დაძაბულობის შენელებით. ტომი შეიცავს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შესახებ სსრ კავშირის კონსტრუქციულ წინადადებათა მთელ კომპლექსს, რომლებიც მოიწონა მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობამ და ახლა საერთაშორისო მოლაპარაკების საგანია.

ტომის მასალებში დამაჯერებლად არის მხილებული მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელი მანევრები, მათი ყალბი „არგუმენტები", აგრეთვე ის, თუ რა დიდი საფრთხეა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის პეკინის დიდმპყრობელური, წამქეზებლური პოლიტიკა.

მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის წიგნი გამსჭვალულია მომავალზე ზრუნვით, იგი ხალხებსა და სახელმწიფოებს მოუწოდებს კვლავ გააერთიანონ ძალები საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში. იმას დამაჯერებლად მოწმობს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო. ეს დოკუმენტი, რომელიც მშვიდობის პროგრამის ორგანული გაგრძელება და განვითარებაა, შთააგონებს ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანს. „საბჭოეთი მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე სამართლიანად გვევლინება როგორც მშვიდობის ბურჯი და მშვიდობის მედროშე, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე. — ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა დავიცვათ და განვამტკიცოთ მშვიდობა, ვიხსნათ კაცობრიობა ახალი გამანადგურებელი ომებისაგან!"

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეხუთე ტომის გამოსვლა ქვეყნის კომუნისტებისა და სხვა მშრომელთა, პარტიისა და ხალხის იდეური ცხოვრების დიდ მოვლენად მიაჩნიათ. ტომში შეტანილი ნაშრომები საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიაზროთ განვლილი გზის შედეგები და შემდგომი წინსვლის პერსპექტივები, უფრო სრულად ავითვისოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები. ეს საკითხები მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მოქმედების შთამაგონებელი პროგრამაა.

„პრავდა", 16 მაისი.

# ორი მოძმე ხალხის ღვიძლი შვილი

(დასასრული)

მდივანი ლ. მკრტჩიანი. ცნობილი სომეხი დრამატურგი ა. შაგინიანი, მწერალ ნარ-დოსის შვილი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ოჰანეზიანი.

12 საათია. გ. სუნდუკიანის საფლავი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გვირგვინებით შემკეს. აქვეა სომხეთის კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების, ქალაქ თბილისის მშრომელთა გვირგვინები. ქალაქის ნორჩმა მოქალაქეებმა სუნდუკიანის საფლავზე ყვავილები მოაბნიეს.

მიტინგზე მოვიდნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, ო. ჩერქეზია.

მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ. დღეს, თქვა მან, შევიკრიბენით, რათა პატივი ვცეთ სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელს გ. სუნდუკიანს. იგი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ხალხისათვის, თბილისელებისათვის. იგი ჩვენს ქალაქში დაიბადა, ცხოვრობდა, ქმნიდა ნაწარმოებებს, რომლებშიც ხოტბას ასხამდა ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას. მათს ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. მთელი თავისი საზოგადო მოღვაწეობითა და ლიტერატურული შემოქმედებით გ. სუნდუკიანმა დიდი კვალი დაამჩნია სომხური და ქართული კულტურების განვითარებას.

ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკებისათვის, თქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ჩიხაძემ, განსაკუთრებით ძვირფასია გ. სუნდუკიანის შემოქმედება. საუკეთესო ქართველ მსახიობებს შეუსრულებიათ მის მიერ შექმნილი სახეები და ეს სახეები ნიშანსვეტი გამხდარა მათს შემოქმედებითს გზაზე. მეც მხვდა წილად ბედნიერება მეთამაშა შესანიშნავ სპექტაკლ „პეპოში", რომელიც სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ დადგა. გმირის სახეზე მუშაობისას მივხვდი, თუ რაოდენ რთული და ამავე დროს თითქოს-და მარტივი ფსიქოლოგიური სახე შეუქმნია გ. სუნდუკიანს.

ქართველ მწერალთა სახელით მიტინგზე გამოვიდა პოეტი კ. კალაძე. თბილისთან ბევრი სომეხი მამულიშვილის ცხოვრებაა დაკავშირებული, თქვა მან. ერთი მათგანია გ. სუნდუკიანი. სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ყოველთვის მშობლიური ქალაქისაკენ მოიჩქაროდა. მოიჩქაროდა, რადგან ვერ წარმოედგინა ცხოვრება უამქალაქოდ. რადგან თვისი ცხოვრება ქართველი ხალხის ცხოვრებასთან ჰქონდა დაკავშირებული. მისი თითოეული ნაწარმოები მოწმობს, რა ახლოს იცნობდა იგი თავის თანამედროვე ცხოვრებას.

ჩვენ, ქართველი და სომეხი ლიტერატორები, თბილისში რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, წმიდად ვიცავთ მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციებს, რომლებსაც ჩვენმა წინაპრებმა ჩაუყარეს საძირკველი, განვავრცობთ და ვაფართოებთ მათ.

თბილისის 81-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ლენა სეჩინამ თქვა, რომ ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს უდგება ხანა, როცა უნდა ჩაუფიქრდეს, თუ როგორ იცხოვროს. ჩემი აზრით, ყველამ, ვისაც სურს იპოვოს პასუხი ამ კითხვაზე, უნდა მიბაძოს სუნდუკიანს. რომელმაც უკვე ჭაბუკობის წლებში აირჩია მშობელი ხალხის სამსახურის, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლის გზა.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ლ. მკრტჩიანს.

ახლა, როცა ჩვენ გ. სუნდუკიანის იუბილეს აღვნიშნავთ, თქვა მან, ხშირად ვიხსენებთ მის ცნობილ ანდერძს, რომელშიც წერდა: „ბედნიერი იყავით, მე კი მივდივარ, მივდივარ იქ, საიდანაც არავინ დაბრუნებულა მას შემდეგ, რაც სამყარო არსებობს"... დიახ, არავინ არ დაბრუნებულა. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც, თუმცა, დაიხოცნენ, მაგრამ ამ სამყაროში რჩებოდნენ, რჩებოდნენ და ეხმარებოდნენ ადამიანებს ცხოვრებასა და ბრძოლაში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება სუნდუკიანიც, რომლის საფლავზე მოვედით დღეს ჩვენ, მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი და მადლიერნი.

თავად სუნდუკიანი სახელს განერიდა, თავის გმირებს კი უკვდავება უანდერძა. მისი თხოვნა იყო, რომ ძეგლი დაედგათ არა მწერლისთვის, არამედ პეპოსათვის. მან თავისი სიცოცხლე, თავისი ნიჭი ღარიბ ადამიანებს, მშრომელ ადამიანებს შეალია, ვინაიდან სურდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგაც კვარცხლბეკზე მდგარიყო პეპო-კაცი. რომელმაც დაამარცხა „ძლიერნი ამა ქვეყნისა" — არუთინ ზიმზიმოვი.

„ჩემი ერთადერთი სურვილია, რომ ყოველმა ადამიანმა მთელი თავისი არსებით შეიგრძნოს: უსინდისობა და სიტყვის გატეხა სამარცხვინოა კაცისათვის, რაოდენ მაღლაც უნდა იდგეს იგი სხვებთან შედარებით", წერდა გ. სუნდუკიანი. ყოფიერ, ოჯახურ კონფლიქტებზე აგებულ დრამებში გ. სუნდუკიანი მარტო ზნეობრივ, ეთიკურ საკითხებს კი არ აყენებდა, არამედ წვდებოდა კიდეც პატიოსნების, ღირსების, სამართლიანობის მარადიულ ცნებებს მათი სოციალური, ღრმა პოლიტიკური ასპექტით. ჭეშმარიტებანი, რომლებსაც სუნდუკიანი იცავდა, მუდამ სოციალურად კონკრეტული იყო და მშრომელ ხალხს ემსახურებოდა.

„გემშვიდობებით შენც, ჩემო საყვარელო თბილის ქალაქო", — წერდა სუნდუკიანი თავის ანდერძში. თბილისი მისთვის მარტოოდენ საყვარელი ქალაქი არ ყოფილა, თბილისი იყო მისი სიცოცხლე, მისი შემოქმედება. იგი წერილებს წერდა წმინდა ლიტერატურულ სომხურ ენაზე, პიესებს კი თბილისურ სომხურ დიალექტზე. მას არ უნდოდა მოეწყვიტა თავისი გმირები თავიანთი ეროვნული გარემოსაგან. მან ბრწყინვალედ იცოდა ქართული ენა. იგი ბევრს უნდა უმადლოდეს ქართულ ენას, ქართულ ეროვნულ ყოფას, ქართველ ხალხს.

ასრულდა გ. სუნდუკიანის ნატვრა. იგი მშრომელი კაცის ბედნიერებაზე, ადამიანთა უანგარო მეგობრობაზე, ხალხთა ძმობაზე ოცნებობდა. ხალხთა ეს ძმობა ჩვენს ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე ვლინდება. იგი იგრძნობა დღევანდელ ზეიმშიც, რომელიც მართლაც რომ საყოველთაო სახალხოა.

(საქინფორმი).

## მიფრინავს „მეტეორი"

1976 წლის 15 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „მეტეორი".

თანამგზავრის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც საჭიროა ამინდის ოპერატიულ სამსახურში გამოყენებისა და ატმოსფეროს და მისი საყრდენი ზედაპირის პარამეტრების დისტანციური გაზომვის მეთოდების დახვეწისათვის.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

(საქდესი).

## საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მოლაპარაკება

17 მაისს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი;

მოზამბიკის მხრივ — მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის (ფრელიმოს) თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მ. მაშელი, ფრელიმოს ცენტრალური კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ა. ჩისანო, ფრელიმოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საპრეზიდენტო საქმეთა მინისტრი ჟ. ლ. მონტეირუ, ფრელიმოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, მოზამბიკის განთავისუფლების სახალხო ძალების გენერალური შტაბის წევრი ჟ. ველოზუ, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი მ. მ. მაშუნგუ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ჟ. ლ. კაბასუ.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს ბევრი საკითხი, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესაძლებლობებს, რომლებიც სახალხო მოზამბიკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაისახა ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გზაზე შემდგომი წინსვლისათვის.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაცვლა ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტის მდგომარეობაზე. (საქდესი).

## კაპიტალური მშენებლობა:

# დიდი ეფექტიანობა და ხარისხი!

### საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

[illegible]

ლობაა. განხორციელებისათვის ბრძოლის დადასტურებაა.

ახლახან გამართულ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რა ამოცანები დგას აჭარის პარტიული ორგანიზაციების წინაშე კაპიტალური მშენებლობის დარგში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ურნგიაძე. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცხრე ხუთწლედში აჭარის მშენებლებმა, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის იბრძოდნენ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ 153,9 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება აითვისეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა 230 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 346 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, მათ შორის ელექტრომექანიკური ქარხანა, ჩაის ფაბრიკების ახალი სიმძლავრეები, 21 სკოლა და ბევრი სხვა ნაგებობა.

ასეთი დიდი ობიექტები აშენდა, მაგრამ კაპიტალური მშენებლობა აჭარაში კვლავ რჩება სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგად. მეცხრე ხუთწლედში მშენებლებმა ვერ აით-

[illegible] მდგომარეობა, რომ მშენებლები ყველა შემთხვევაში როდი აშენებენ მაღალხარისხოვნად. ქედის რაიონული საავადმყოფო და ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფო მხოლოდ რამდენიმე წელია რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა და მათ უკვე კაპიტალური რემონტი სჭირდება. მთის რაიონებში განსაკუთრებით ჩამორჩება სასკოლო მშენებლობა. ამ საქმეს სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, მაგრამ მშენებლები როდი იჩენენ საჭირო პასუხისმგებლობას. ამავე რაიონებში ასევე ძალიან დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო პროცესების მექანიზაციის დონე.

დიდი პერსპექტივებია დასახული მეათე ხუთწლედში. აჭარაში მშენებლობისათვის გამოყოფილია 255 მილიონი მანეთი. უნდა აშენდეს 260 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 50 სკოლა. დიდი თანხები მოხმარდება ნავთობგადამამუშავებელი, გემთსაშენებლო, მანქანათსაშენებლო და სხვა ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციას.

პლენუმმა მოიწონა ბათუმის ტყავის გაერთიანების კოლექტივის ფაქიზობა, რომელმაც თავისი ძალებითა და უმნიშვნელო დანახარჯებით მოახდინა საამქროების რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ ახალი ხაზი.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ბერიძე, გაერთიანება „საქსპეცმშენის" № 5 საერთო სამშენებლო ტრესტის მმართველი გ. ჩახვაძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მთავარი ინჟინერი პ. ჯორბენაძე, ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფ. დიასამიძე და სხვები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. მეძმარიაშვილი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე დ. მანჯგალაძე და სხვები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

დასასრულ გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

პლენუმმა მიღებულ დადგენილებაში გამოთქვა რწმენა, რომ აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საპროექტო ორგანიზაციები უმოკლეს დროში დაძლევენ კაპიტალურ მშენებლობაში არსებულ სიძნელეებს, წარმატებით გადაწყვეტენ თავიანთ წინაშე დასახულ ამოცანებს.

**მ. ბორბილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

17 მაისი

## ფაქტები მოვლენები პრობლემები

**საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან**

### დემონსტრაციები გრძელდება

**მღელვარება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე**

**რომი, (საკდესი).** არ ცხრება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის არაბი მოსახლეობის დემონსტრაციები. ქალაქებში იერიქონში, ჯენინში, ნაბლუსში, ტულკარმში, რამალაში, მთელ რიგ სოფლებში, აგრეთვე იერუსალიმის აღმოსავლეთ სექტორში 15 მაისს — პალესტინის დღეს — ათიათასობით არაბი გამოვიდა ქუჩებში, რათა კიდევ ერთხელ მტკიცე პროტესტი განეცხადებინათ ოკუპანტთა რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ტერორისა და რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ხელისუფალნი იყენებენ დაპყრობილი ტერიტორიების მკვიდრთა მიმართ. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პალესტინის ეროვნული ალმები, გაიძახოდნენ ანტიისრაელურ ლოზუნგებს. საოკუპაციო ხელისუფლებამ სასწრაფოდ გადაისროლა დასავლეთ ნაპირის რაიონში ჯარის ნაწილები, რომლებიც გაძლიერებულია ტანკებით. ქალაქებში შემოღებულია კომენდანტის საათი.

მაგრამ ისრაელის ხელისუფალთა ყველა ამ ღონისძიებამ ვერ შეაშინა პატრიოტები. აქ მიღებული ცნობებით, 16 მაისს დილიდანვე ნაბლუსის ქუჩებში დაიწყეს ბარიკადების აგება. პოლიციელებმა გამოიყენეს ხელყუმბარები და ცრემლსადენი გაზი, დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული კაცი. მაგრამ, როცა საქმეს ამანაც ვერ უშველა, დემონსტრანტებს, რომელთა უმრავლესობას სტუდენტები და მოსწავლეები შეადგენდნენ, ცეცხლი დაუშინეს. ათობით კაცი დაჭრილია, ხოლო დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე, 17 წლის მოსწავლე ლინა ჰასანი მოკლულია.

ოკუპანტთა ახალი ბოროტმოქმედების პასუხად ნაბლუსში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. საპროტესტო მოძრაობა დასავლეთ ნაპირზე სულ უფრო ფართოვდება. იგი მოწმობს, რომ აქაურ არაბებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ.

### ბაზრობა კვიპროსში

**ნიქოზია, (საკდესი).** რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა კვიპროსის პირველი სახელმწიფო საერთაშორისო ბაზრობა.

ნიქოზიის მახლობლად 270 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე აშენდა თანამედროვე საგამოფენო პავილიონები. აქ თავიანთ ექსპონატები გამოფინეს კვიპროსის ორგანიზაციებმა და ფირმებმა, აგრეთვე ბაზრობის ათმა საზღვარგარეთელმა მონაწილემ.

კვიპროსის პირველ სახელმწიფო საერთაშორისო ბაზრობას (წინათ საერთაშორისო ბაზრობებს კვიპროსში აწყობდნენ კერძო ფირმები) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი მოეწყო ქვეყნისათვის ძნელ დროს და მოწოდებულია ახალი ბიძგი მისცეს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას მთავრობის საგანგებო გეგმის ფარგლებში.

საბჭოთა კავშირი, კვიპროსის საერთაშორისო ბაზრობების ტრადიციული მონაწილე, წელს წარმოდგენილია 14 საგარეო-სავაჭრო გაერთიანებით, რომლებმაც გამოფინეს ათასზე მეტი ექსპონატი.

---

# მსოფლიოს ხმები

გდრ: კომუნისტთა ფორუმის წინ

## ღრმა ოპტიმიზმით და მტკიცე რწმენით

**დღეს მუშაობას იწყებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობა**

**ბერლინი, (საკდესი).** [illegible] ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობა.

კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის დელეგატები მოისმენენ და განიხილავენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, დასახავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოესი ხუთი წლის პერსპექტივებს, აირჩევენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს. მომავალი ყრილობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ მის დღის წესრიგშია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალი პროგრამისა და ახალი წესდების განხილვა და მიღება.

დედაქალაქში რესპუბლიკის ყველა ოლქიდან ჩამოდიან დელეგატები — გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს კომუნისტთა თითქმის ორმილიონიანი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლები. ყრილობაზე იქნებიან მრავალი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციები.

ყრილობისათვის მთელი მზადება გამსჭვალული იყო ღრმა ოპტიმიზმის, საკუთარი ძალის მტკიცე რწმენისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა უმაგალითო ენთუზიაზმის სულისკვეთებით. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს უმნიშვნელოვანესი ყრილობისწინა დოკუმენტების საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგები. საკმარისია ითქვას, რომ მათი გამოქვეყნებიდან განვლილი ოთხი თვის მანძილზე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მიღებულია მილიონზე მეტი წერილი საწარმოო კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან. ეს წერილები პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური დემოკრატიის იდეალების გამარჯვების ცოცხალი დადასტურებაა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუ- [illegible] ლიკის მთელი საზოგადოებრივი განვითარების გენერალური ხაზი უახლოესი ხუთი წლისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობას რესპუბლიკა ეგებება უდიდესი სოციალურ-ეკონომიური მონაპოვრებით. წარმატებით და ნაწილობრივ გადაჭარბებითაც შესრულდა ხუთწლედის ძირითადი დავალებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური სახელმწიფო გახდა. მისი ეკონომიური წარმატებები განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობასთან და თანამშრომლობასთან.

ამიტომ ხიამაყეს ბერლინის, მაგდებურგის, როსტოკის მუშათა შრომითი გამარჯვებებისათვის თანაბრად იზიარებენ პარტნიორები სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ხაზით მოსკოვიდან, ვარშავიდან, პრაღიდან თუ სოფიიდან.

[illegible] რეწველო წარმოების მოცულობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხუთწლედის მანძილზე 37 პროცენტით გაიზარდა. ეს მიღწეულია ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდებით და ახალი მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით. ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში ამ წლების მანძილზე დაინერგა 12 ათასზე მეტი ახალი სახეობის ნაწარმი. თავის მხრივ სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციამ საშუალება მისცა სახელმწიფოს განეხორციელებინა სოციალურ-პოლიტიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

რესპუბლიკის ყველა წარმატება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მტკიცედ ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძვლებს, და ურყევად დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებთან ერთიან მწყობრში.

---

## ვერ შეთანხმდნენ

**იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩინეთთან ურთიერთობის შესახებ**

**ტოკიო, (საკდესი).** როგორც გაზეთი „ტოკიო სიმბუნი" იუწყება, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იაპონია-ჩინეთის მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების განახლებისათვის საჭირო იქნება გარკვეული დრო. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ საჭიროა ჩინეთის მხარის განზრახვის გაანალიზება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნული ქვეყნის ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, გაანალიზა რა ჩინეთის ვითარება, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგება სიტყვა და საქმე ჩინეთისა, რომელიც აცხადებს, რომ ხელმძღვანელობის შეცვლა არ გამოიწვევს ცვლილებებს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ამავე დროს, უკვე მოხდა ცვლილებები იაპონიასთან ჩინეთის ვაჭრობაში. პეკინმა ცალმხრივი წესით შეამცირა იაპონიისათვის ჩინეთის ნავთობის მიწოდების წინათ შეთანხმებული ოდენობა, აგრეთვე იაპონური ფოლადის შესყიდვა.

რაც შეეხება პეკინის მოთხოვნებს იაპონია-ჩინეთის მშვიდობისა და მეგობრობის გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შეიტანონ დებულება ჰეგემონიის შესახებ, აღნიშნავს გაზეთი, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში დაადასტურეს, რომ იაპონიის პოზიციაში ამ საკითხის მიმართ არავითარი ცვლილება არ მომხდარა იაპონიისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების უკანასკნელი შეხვედრის დროიდან და იაპონია თავის უწინდელ თვალსაზრისს იცავს, რომელსაც ეწინააღმდეგება ჩინეთი.

### ფოტოინფორმაცია



იტალია. [illegible] ა-ს-სადენის ფოტო.

---

მათი ზნე-ჩვეულება

## ახალი მხილებანი

**ამერიკის მონოპოლიების მაქინაციები საზღვარგარეთ**

**ვაშინგტონი, (საკდესი).** ამერიკის მონოპოლიები, რომლებიც ცდილობენ შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ დადონ ხელსაყრელი გარიგებები, ფართო მასშტაბით მიმართავენ უცხოეთის სახელმწიფოთა საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებისა და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეების მოსყიდვას.

მთელ მსოფლიოში გახმაურებული სკანდალური ფაქტები „ლოკჰიდ ეირკრაფტ კორპორეიშნის" სამარცხვინო საქმიანობის შესახებ, მხოლოდ პირველი წვეთი იყო მხილებათა ნაკადში. ფასიანი ქაღალდების ოპერაციების საკონტროლო კომისიამ საზოგადოებრიობის ზეგავლენით მოწყობილი შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ საზღვარგარეთ ქრთამს არიგებდა ამერიკის 95 უდიდესი კომპანია.

ამ ფედერალური უწყების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოხსენება გააკეთეს სენატის ბანკების, საბინაო მშენებლობის საქმეთა და ქალაქების პრობლემების კომისიაში, საჯაროდ წაიკითხეს იმ კომპანიათა და კორპორაციათა გრძელი სია, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდნენ. მათ შორის არიან „ამერიკენ ეირლაინზი", „ექსონი", „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფი", „გალფ ოილი" და ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი კაპიტალის სხვა „ვეშაპები".

ფასიანი ქაღალდების ოპერაციების საკონტროლო კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლა იძიებენ კიდევ 30 კომპანიის მაქინაციებს.

### რასიზმის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი, (საკდესი).** ნიუ-იორკში მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-60 სესიამ.

მიღებულ გადაწყვეტილებებში საბჭომ დიდი შეშფოთება გამოთქვა აფრიკის სამხრეთში საშიში მდგომარეობის გამო, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. სესიის მონაწილეებმა ჯადაჭრით დაგმეს აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი ახორციელებს, და მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ ჩაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

---

## საკდესი გვატყობინებს

● **ვენა.** 1975 წლის იანვრიდან მიმდინარე წლის იანვრამდე ავსტრიაში ფასებმა 7,8 პროცენტით მოიმატა. სამრეწველო მუშათა ხელფასის ზრდამ ამავე პერიოდში, დამატებით მისაცემლების გათვალისწინებითაც კი, მხოლოდ 1,4 პროცენტი შეადგინა. ამრიგად, მრეწველობაში დასაქმებულ ავსტრიელ მშრომელთა მყიდველობითი უნარი თითქმის 6 პროცენტით შემცირდა.

● **რომი.** ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს აქ მიღებული მონაცემების თანახმად, მარტო აპრილში ცხოვრების ღირებულება ისრაელში 5,7 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ქვეყანაში ფასებმა 12 პროცენტით მოიმატა.

სპეციალისტთა აზრით, ასეთი ტენდენცია თუ გაგრძელდა, ცხოვრების ღირებულების ზრდა წლის დამლევისათვის ისრაელში 36 პროცენტს მიაღწევს.

● **ნიუ-იორკი.** კოკაინის გამოყენების მსოფლიო ცენტრი უწოდა ამერიკის პოლიციამ ქალაქ ლოს-ანჯელესს. განვლილ წელს ამ ნარკოტიკით ვაჭრობა აქ გაორკეცდა. პოლიციის აზრით, კოკაინის ძირითადი მომხმარებლები არიან ჰოლივუდის კინომუშაკები.

## საინტერესო სიახლენი

**8 საათის ნაცვლად — 4 წუთი**

ამერიკის „ჰიუზ ტულზის" ფირმამ შექმნა ლაზერის დანადგარი განსაკუთრებით მტკიცე მასალებისაგან თვითმფრინავის პანელების გამოსაჭრელად. ნახშირორჟანგით მომუშავე 500 ვატი სიმძლავრის ლაზერი უზრუნველყოფს წამში 25-50 სანტიმეტრის გამოჭრის სიჩქარეს. ახალი დანადგარის გამოყენების შედეგად პანელების ერთი კომპლექტის გამოჭრის დრო 8 საათიდან 4 წუთამდე შემცირდა.

**ზემგრძნობიარე ვიბროგრაფი**

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონელმა სპეციალისტებმა შექმნეს ზემგრძნობიარე ვიბროგრაფი, რომელსაც იყენებენ შახტებში ავარიების დროს მაშველ სამუშაოებში მეშახტეთა ადგილსამყოფელის ზუსტად განსაზღვრისათვის. ამ ხელსაწყოს შეუძლია ძალზე სქელ ქანებშიც კი აღნიშნოს ადამიანის გულისცემა.

**უნიფიცირებული ძრავა**

იაპონიის „ნისანის" საავტომობილო კომპანიამ გამოაცხადა, რომ მისმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ძრავა, რომლის გამონაბოლქვი გაზები შეიცავენ რამდენჯერმე ნაკლებ მავნე ნარევებს, ვიდრე არსებული ძრავების გამონაბოლქვი. „ნისანის" ინჟინრებმა ეს პრობლემა გადაჭრეს წვის კამერაში გამონაბოლქვი გაზების განმეორებით მიწოდების გზით. ამასთან უმნიშვნელოდ მცირდება სიმძლავრე და თითქმის არ იზრდება სათბობის ხვედრითი დანახარჯები.

**ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა**

ინდოელმა მეცნიერებმა შექმნეს ეფექტიანი ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა. ქოლერის შესწავლელი ცენტრის დირექტორმა ს. ჩ. პალმა განაცხადა, რომ ახალმა ვაქცინამ წარმატებით გაიარა გამოცდა. ვაქცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ერთი წლის იმუნიტეტს ქმნის, ალუმინის ფოსფატია. (საკდესი).

---

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შესახვედრად**

# ვინ უწყობს ხელს დამნაშავეებს?

## ავტოტექმომსახურება კერძო მრეწავთა ხელში

**დღითიდღე** იზრდება ავტომობილების რიცხვი ზუგდიდში, მომრავლდნენ მათი კერძო მფლობელები, გზები და გზაჯვარედინები ძლიერ დატვირთულია მოძრაობით. ყოველივე ეს მძღოლის მეტ დაკვირვებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებას მოითხოვს. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. მძღოლთა დაუდევრობის შედეგად, ან იმის გამო, რომ საჭეს მთვრალი ადამიანი მართავს, არც თუ იშვიათად გვხვდება ავარიის შემთხვევები, მსხვერპლი.

ვამბობთ: ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე? ბევრჯერ ამის მიზეზად ნასვამ მძღოლს ვასახელებთ, მაგრამ ნაკლებ დანაშაულს არც ის სჩადის, ვინც ხელს უწყობს ავარიის მიჩქმალვას, შინაგან საქმეთა განყოფილებებს თვალს უხვევს და დამნაშავეს მანქანას ურემონტებს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კერძო მრეწავთან, იგივე საშიშ პიროვნებასთან, რომლის ქმედობა ნაკლებ მძიმე როდია. ავარიამოხდენილი მანქანის შენიღბული შეკეთება არავის უნდა ეპატიოს. შემკეთებელმა პასუხი უნდა აგოს მართლმსაჯულების წინაშე.

შემოწმებისას ნ. ჩხეტიას ოჯახში აღმოაჩინდა პრიმიტიულად ნაკეთი შემდუღებელი აპარატები, სხვადასხვა მარკის შესაკეთებელი ავტომობილები და სათადარიგო ნაწილები. იქვე, მეზობლად მცხოვრებ ჯ. თორდიას სახლში შესაკეთებლად იდგა „ჟიგულის" მარკის მსუბუქი ავტომანქანა.

რესპუბლიკაში კარგად არის ცნობილი კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა და მისი გამრჯე ადამიანები. მაგრამ მათ გვერდით მუშაობა როდი სურს ამავე სოფლის მცხოვრებს გურამ მაქაცარიას. „მე ხელოსანი კაცი ვარ, ავტომანქანების შეკეთება მეხერხებაო" და ავტომომსახურების სადგურში დაიწყო მუშაობა. მართლაც, ვერავინ დაიძლევს კაცს — გინდა თუ არა ამ ადგილზე იმუშავეო. მაგრამ მალე გ. მაქაცარიას ავტოპროფილაქტორიუმში მუშაობაზეც აუცრუვდა გული და კერძო რეწვას მიჰყო ხელი.

ასეთი მანქანების შეკეთებაში შემჩნეულია აგრეთვე ახალაბასთუმნის მცხოვრები ფ. ხუბუტია, რომელსაც სახლში პრიმიტიული შემდუღებელი და ერთი ბალონი კარბიტი აღმოაჩნდა.

ამასწინათ ასეთი ამბავი მოხდა: [illegible]-შვილი გზად მიდიოდნენ. [illegible]ელს მანქანა დაეჯახა და სასიკვდილოდ დაშავდა. მძღოლს ადამიანური გრძნობის ნასახი არ აღმოაჩნდა, იმის მაგივრად, რომ დაშავებულს მიშველებოდა, საავადმყოფოში მიეყვანა და იქნებ [illegible] სიკვდილისათვის გამოეტაცა, მან გაქცევით უშველა თავს. შემთხვევის ადგილზე მოსულებმა მძღოლის დანახვა ვერც კი მოასწრეს.

სად გაუჩინარდა მანქანის მფლობელი, სად უნდა წაეყვანა მას მანქანა შესაკეთებლად თუ არა პროფილაქტორიუმში?

ავტოტექმომსახურების სადგურები მკაცრად არიან გაფრთხილებული, რომ შინაგან საქმეთა განყოფილებების უნებართვოდ შესაკეთებლად არ მიიღონ ავარიული მანქანები. ეს კარგად იცის დანაშაულის ჩამდენმა, ამიტომ იგი შემკეთებელს ეძებს. კერძო მრეწავები, რომლებიც არც თუ ცოტანი არიან, ავარიამოხდენილ მანქანებს თავიანთსავე სახლში ან დაქირავებულ გარაჟებში არემონტებენ, რითაც ხელს უწყობენ დანაშაულის კვალის დაფარვას.

სამწუხაროდ ასეთი მრეწავები ჯერაც ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონშიც დღემდე ბოგინობენ. ეს იმდენად რეიდმაც, რომელიც ქალაქის ავტოტექმომსახურების სადგურმა სახალხო კონტროლიორებთან ერთად მოაწყო.

ზედა ეწერის მკვიდრი ნუგზარ [illegible] მეზობელ სოფელ ჩხორიის [illegible] სახელობის კოლმეურნეობაში ზეინკლად „მოეწყო" და [illegible] კერძო მანქანების შეკეთებას [illegible] ხელი. 1975 წლის აგვისტოში იგი უკვე საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას აღარ ეწევა, [illegible] კერძო მფლობელთა მანქანების შეკეთება უფრო სარფიანი აღმოჩნდა. „კეთილ ძიათი" [illegible] გათამამებულმა მრეწავმა [illegible] სახლი სახელოსნოდ აქცია.

ზუგდიდში გოგებაშვილის ქუჩა 46-ში ცხოვრობს პენსიონერი ვარლამ ფანცულაია, რომელიც კერძო პირთა მოტოციკლებს არემონტებს. შემოწმების დღეს მის სახლში აღმოჩნდა შესაკეთებელი მოტოციკლები, თვითნაკეთი გაზშემდუღებელი აპარატები და ხელსაწყო-იარაღები.

ქალაქში დღემდე არცერთ ავტოპროფილაქტორიუმთან არ არის გახსნილი მოტოციკლების შემკეთებელი სახელოსნო. ამიტომ მოტოციკლების მფლობელნი იძულებული არიან ოჯახებში ეძებონ ხელოსნები. დროა ავტოპროფილაქტორიუმებთან შეიქმნას მოტოციკლების შემკეთებელი სახელოსნოები.

შარშან აგვისტოში გაიმართა პარტიის ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი — „სოციალისტური კანონიერების დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანების შესახებ". აქტივზე ითქვა:

— უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევი ღონისძიებებია გატარებული კერძო შინამრეწველთა საქმიანობის აღსაკვეთად. გამოვლინებული ფაქტების წინააღმდეგ შეიქმნა შეურიგებლობის ატმოსფერო, რის შედეგადაც მათი დიდი ნაწილი ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. მიუხედავად ამისა, ქალაქში ჯერ კიდევ ვხვდებით შინამრეწველთა საქმიანობის ფაქტებს. მართალია, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში შესამჩნევ აქტივობას იჩენს ქალაქის საფინანსო განყოფილება, მაგრამ ამ დარგის მუშაკების მიერ შედგენილი აქტები მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, შემდეგ კი უკან უბრუნდება საფინანსო განყოფილებას.

რა თქმა უნდა, მარტო საფინანსო განყოფილება (გამგე ბ. ბოკუჩავა) კერძო მრეწავეებს ვერაფერს

ბენებს, თუ მას ადმინისტრაციული ორგანოები, ქუჩის კომიტეტები და საქალაქო საბჭოს დეპუტატები არ დაეხმარებიან.

საფინანსო განყოფილებამ ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებას ორჯერ გადაუგზავნა აქტი კერძო მრეწავზე მიხეილ შამახიაზე, მაგრამ უშედეგოდ. ახლახან კი შამახიას სახლში შესაკეთებლად ედგა სხვადასხვა მარკის ავტომობილები, ძრავები, მას ხელით ნაკეთი გაზშემდუღებელი აპარატებიც აღმოაჩნდა.

ნამდვილად გაგვაოცა მ. შამახიას სახლში მდგარმა „ჟიგულის" მარკის დალეწილმა ავტომანქანამ. ვინ იცის, რა დანაშაული აქვს ჩადენილი მის მფლობელს. მ. შამახია კი დაგვემალა.

ხ. ცირდავა ჯერ კიდევ 1974-1975 წლებში ამხილეს რეწვაში, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოების წაყრუებით გათამამებულმა თავისი შვილიც ნ. ცირდავაც ჩაითრია „საქმიანობაში" და უფრო გააფართოვა კერძო რეწვა.

ხშირია შემთხვევა, ავტოტექმომსახურების ობიექტებიდან ხელოსნები რომ გარბიან და ოჯახებში ეწევიან რეწვას. ასეთებად დავისახელებს ლენინგრადის, ანთელავას, ნინოშვილის ქუჩებზე მცხოვრებნი კ. როგავა, ზ. ჯოხაძე, რ. კაკულია და სხვები. არიან ისეთებიც, რომლებიც ფორმალურად თავს აფარებენ საწარმო-დაწესებულებებს და რეწვას ეწევიან როგორც სახლში, ისე საწარმო-დაწესებულებათა ავტომანქანების სადგომებში.

რატომ ხდება ასე? ნუთუ ავტოტექმომსახურების სადგურში არ არის პირობები, რომ ეს გაერთიანებულ პროფილაქტორიუმებში ხელოსნები უზრუნველყოფილი იყვნენ სამუშაოთი და შრომის პირობებიც ცუდი არ იყოს?

ამ სამი-ოთხიოდე წლის წინათ ავტოპროფილაქტორიუმებში საქმე ისე როდი იყო, როგორც დღეს არის: არ იგრძნობოდა წესრიგი, არ გაიჩნდათ კარგი ხელოსნები, ისახებოდა გეგმები, იწერებოდა დადგენილებები, მაგრამ ყოველივე ეს ქაღალდზე რჩებოდა.

თუმცა დაქსაქსულობა და მოძველებული ტექნიკა კვლავ შეიმჩნევა, უკანასკნელ დროს მაინც გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა ხელოსანთა ნორმალური მუშაობისათვის, მათი პირობების გაუმჯობესებისათვის, რამაც კეთილი გავლენა მოახდინა გეგმების წარმატებით შესრულებაზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელ ხანებში ავტოტექმომსახურების სადგურმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ ორჯერ მიიღო პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. მაგრამ როცა ავტოტექმომსახურების ობიექტების ხელოსნები ხედავენ, როგორ ისქელებენ ჯიბეს კერძო მრეწავეები და გამკითხავი კი არავინ არის, თვითონაც ბაძავენ მათ და სამუშაოდან გარბიან.

ამ წერილში ვერ ხერხდება ყველა კერძო მრეწავის „საქმიანობის" სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამის შემდეგ მაინც დაინტერესდებიან პარტიის ზუგდიდის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რაიონისა და ქალაქის საბჭოების აღმასკომები, შინაგან საქმეთა განყოფილებები, სასოფლო საბჭოს აღმასკომები, და ქუჩის კომიტეტები, რომ ალკვეთონ კერძო მრეწავთა პარპაში, საკადრისი პასუხი გასცენ მათ და მათს მფარველებს, რომლებიც ხელს უწყობენ ავტოხულიგნებს დანაშაულის მიჩქმალვაში.

**ვ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

ფაქტი კომენტარი

## ცივი ომის სულისკვეთებით

**ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ნ. როკფელერის ზოგიერთი განცხადების გამო**

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ნ. როკფელერმა დაამთავრა დასავლეთ ევროპაში მოგზაურობა, სადაც იგი ეწვია ამასწინანდელი მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებს, აგრეთვე დასავლეთ ბერლინსა და მაინის ფრანკფურტს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ამერიკის მაღალი თანამდებობის მოღვაწის ამ მოგზაურობამ ყურადღება მიიპყრო არა იმდენად ამ კეთილშობილური მისიით, რამდენადაც მისი განცხადებებით. ყველაფრიდან ჩანს, რომ ნ. როკფელერმა მოგზაურობა სწორედ ამ მიზნისათვის გამოიყენა.

მაგალითად, დასავლეთ ბერლინში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი წინააღმდეგ ოთხმხრივი შეთანხმებისა, რომელსაც ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლიც, [illegible] ლეთთან არის დაკავშირებული" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენსო.

მაინის ფრანკფურტში თავის გამოსვლისას ნ. როკფელერი ცდილობდა საეჭვოდ ეჩვენებინა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემის სახელმწიფოებისათვის სასარგებლო იქნება დაძაბულობის შენელების პროცესი. ეს გამოსვლა ბლომად შეიცავდა უხეშ ანტისაბჭოურ გამოხდომებს. იგი, კერძოდ, ამტკიცებდა, რომ, იყენებს რა ამ შენელებას, საბჭოთა კავშირი ცდილობს „მსოფლიო მოაწყოს ახალი იმპერიის საფუძველზე". მიაწერს რა მას „იდეოლოგიურ, დიპლომატიურ, ფინანსურ ძირგამომთხრელ მოქმედებას".

ეს ფრაზები, როგორც ჩანს, [illegible] იმისთვის დასჭირდა, რომ კიდევ ერთხელ მოეწოდებინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ნატოს ძლიერება განემტკიცებინათ.

ნ. როკფელერის გამოსვლები ეწინააღმდეგება ჩვენი დროის სულისკვეთებას, როცა დაძაბულობის შენელება მთავარი ფაქტორი გახდა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს დასავლეთ ევროპის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების გამოსვლები, რომლებიც მხარს უჭერენ დაძაბულობის შენელებას. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც ადასტურებს, რომ ევროპის კონტინენტის ხალხთა უმრავლესობა მხარს უჭერს საერთაშორისო ურთიერთობაში კლიმატის გაჯანსაღებას. ამას მოწმობს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. შმიდტის განცხადება, რომელიც ესწრებოდა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლას მაინის ფრანკფურტში და აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის ხანგრძლივი ნორმალიზაციის პოლიტიკა."

დასავლეთგერმანელთა გამოხმაურებას როკფელერის ცივი ომის სულისკვეთებით გაჟღენთილ გამონათქვამებზე ცხადყოფს მძლავრი ანტიამერიკული დემონსტრაციები მაინის ფრანკფურტში, რომლებსაც ძლივს ფანტავდნენ პოლიციის რაზმები.

სრული საფუძველი გვაქვს ვიკითხოთ: რისთვის დასჭირდა ასეთი განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს? (საკდესი).

# ხალხმა აალორძინა

გაიხსნა დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი



კვირას, 16 მაისს ქართული კულტურის უნიკალური ძეგლისაკენ, დავით გარეჯის მონასტრის კომპლექსისაკენ დაიძრა ხალხი საქართველოს მრავალი კუთხიდან. მოდიოდნენ მანქანებით, ფეხით, ცხენებით.

გალავნის ქონგურებზე რკინის აბჯარასხმული მეციხოვნენი გადმომდგარან. დაჰკრეს ნაღარა. დავით გარეჯის ლავრის კართან ბერის ტანსაცმელში გამოწყობილი სახალხო მთქმელი გულღიად ეგებება საპატიო სტუმრებს და მონასტრის კომპლექსის დასათვალიერებლად იწვევს.

ლავრის ზედა ტერასაზე ლხინია გამართული. ტკბილ ქართულ ხალხურ სიმღერას ცეკვა ენაცვლება. მაღლა, კლდეში გამოკვეთილი სენაკებიდან თუ სამრეკლოდან თავიანთ სიხარულს ლექსებით გამოთქვამენ სახალხო მთქმელნი, იმართება ქიდაობა, ბერიკაობა, ყეენობა.

შემდეგ კი, თეატრალიზებული წარმოდგენა (რეჟისორი — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლერი პაქსაშვილი) ლავრის ქვედა ტერასაზე გადაინაცვლებს. აქ უკვე ზეიმის ძირითადი მისია — სახალხო უნივერსიტეტის დაფუძნებაა განზრახული.

ვის არ ნახავთ სტუმართა შორის. ზეიმზე ჩამოსულან სახელგანთქმული აკადემიკოსები, პროფესორები, პარტიული, სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკები, ჩვენი დედაქალაქიდან თუ მეზობელი რაიონებიდან.

ზეიმი გრძელდება. სიტყვას სიმღერა მოჰყვება. თუ ლავრის ზედა ტერასაზე გამართულ ლხინში საგარეჯოს რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივები და სახალხო თეატრის ძახილები იღებდნენ მონაწილეობას, აქ უკვე დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები გვხიბლავენ თავიანთი ხელოვნებით. დამსწრენი ოვაციით ხვდებიან საქართველოს სახალხო არტისტებს ელ. ყიფშიძესა და გ. სალარაძეს, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივების სიმღერებსა და ცეკვებს.

დავით გარეჯის აღორძინებას, ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ ერთი სახალხო უნივერსიტეტის დაფუძნებას რაიონის მშრომელებს გულითადად ულოცავენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით აკადემიკოსი ვ. ბერიძე, გელათის სახალხო აკადემიის საპატიო რექტორი, მხცოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი, საქართველოს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვაჩაძე, პოეტები ჯ. ჩარკვიანი, მ. კახიძე, იყალთოს სახალხო აკადემიის რექტორი გ. შათირიშვილი, ფაზისის სახალხო აკადემიის რექტორი მ. ჯაბუა, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ელერდაშვილი.

აკადემიკოს ვ. ბერიძეს ვთხოვთ მოკლედ გვესაუბროს ძეგლის მნიშვნელობასა და სახალხო უნივერსიტეტის დანიშნულებაზე.

— დავით გარეჯის დაარსება, — გვითხრა მან, — შორეულ წარსულს, ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეს მიეკუთვნება. მისი დამაარსებელი იყო დავითი, შემდეგ გარეჯად წოდებული, რომელმაც თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა უდაბნოთა პირველ მონასტერს — დავითის ლავრას. VII-VIII საუკუნეებში დავით გარეჯის ზრდა-განვითარება არ შეწყვეტილა. მომდევნო საუკუნეებში კი მისი მნიშვნელობა, როგორც კულტურის ცენტრისა, კიდევ უფრო გაფართოვდა. კლდეში იკვეთებოდა ეკლესიები, სატრაპეზოები, ჩნდება კედლის მხატვრობა.

დავით გარეჯი მარტო იხე კი არ იპყრობდა ყურადღებას, როგორც კლდის ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის იშვიათი ძეგლი. აქ ინტენსიური სამწერლო საქმიანობაც იყო გაჩაღებული, ბევრი ხელნაწერი წიგნი გადაიწერა.

ახლა დავით გარეჯის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული ამ დიდებული კულტურის ძეგლის დაცვისა და აღდგენისათვის. სახალხო უნივერსიტეტის დაარსება ხელს შეუწყობს ახალი კულტურული და ზნეობრივი ტრადიციების დამკვიდრებას და თვით დავით გარეჯის დაცვა-აღდგენას.

გაიმართა დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის რექტორატის არჩევნები. საპატიო რექტორად აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, უნივერსიტეტის რექტორად — პოეტი თ. ჭანტურიშვილი.

ზეიმის დასასრულ პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან სტუმრებს ამ დიდ დღესასწაულში მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ დღეიდან, მაისის მეორე კვირას აქ ტრადიციულად გაიმართება სახალხო ზეიმი.

უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, მოეწყობა შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, გაიმართება მრავალი ღონისძიება, რაც გააძლიერებს მშრომელთა სიყვარულს მშობლიური კულტურისადმი, ხელს შეუწყობს მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდას.

ციხის ქონგურებიდან აფრენილმა თეთრმა მტრედებმა ცაში კამარა შეკრეს, ნიშნად მშვიდობისა და ბედნიერებისა.

სახალხო დღესასწაულს ესწრებოდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა.

**ლ. ხუბულური.**



**სურათებზე:** (ზემოთ) დავით გარეჯის მონასტრის კომპლექსის ხედი; (ქვემოთ) სახალხო უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მხოლოდ ნიჭი?!

ილხამ მამედოვი — 14 წლის სტუდენტი

„ჩემი მოწოდებაა მათემატიკა". სწორედ ასე დაასაბუთა აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებაზე სწავლის თავისი სურვილი 14 წლის ილხამ მამედოვმა. დაგვეთანხმებით, თავისი მოწოდების თაობაზე ასეთ კატეგორიულ განცხადებას ყოველთვის უფრო მოზრდილი ადამიანისაგანაც ვერ გაიგონებ. მაგრამ ილხამს დაუჯერეს, რადგან ბიჭუნამ ათწლედი ოქროს მედლით დაამთავრა და ინსტიტუტში მისაღები გამოცდები მაშინ ჩააბარა, როცა მისი თანატოლები მხოლოდ მერვე კლასში გადავიდნენ.

ხოლო ხუთ წელზე ცოტა ხნის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა 20 წლის ილხამ მამედოვს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ნაშრომისათვის „მეორე რიგის სახაზო და კვაზისახაზო პარაბოლური განტოლებების თვისებრივი თეორიის ახალი საკითხები". უბრალოდ რომ ვთქვათ, ახალგაზრდა მათემატიკოსმა განტოლებებს, რომელთა მეოხებითაც აღიწერება სითბოს გადაცემის, ფორებიან გარემოში სითხის ფილტრაციის პროცესები, უფრო მაღალი ხარისხის სიზუსტე მიანიჭა, აამაღლა მათი „საწარმოო უკუგება".

რა არის მამედოვის ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზი?

ილხამის მშობლებს მათემატიკასთან უშუალო დამოკიდებულება არა აქვთ. მამამისი გეოლოგია, დედა — ექიმი. ისინი, ბუნებრივია, ისწრაფვოდნენ შვილისათვის ჩაენერგათ ინტერესი თავიანთი პროფესიებისადმი. მაგრამ ცხოვრებაში ძნელია ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინო.

— ბავშვობაში ილხამმა ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა, — ამბობს ილხამის დედა გიულსუმ-ხანუმი, — მუსიკის მასწავლებელი გვარწმუნებდა, რომ იგი მომავალი კომპოზიტორია და ამის საბუთად მოჰყავდა რამდენიმე საინტერესო ეტიუდი, რომლებიც ილხამს შეეთხზა. ინგლისური ენის მასწავლებელი კი თვლიდა, რომ მისი მოწოდება ლინგვისტიკაა.

დრომ თვითონ უპასუხა კითხვაზე „ვინ უნდა გახდე". მას შემდეგ, რაც ილხამმა გაიმარჯვა რამდენიმე რესპუბლიკურ მათემატიკურ ოლიმპიადაზე, დამტკიცების თავისი მეთოდი შეიტანა ერთ-ერთ თეორემაში, ყველა ეჭვი გაიფანტა. მაგრამ გაჩნდა ახალი პრობლემა, შეიძლება თუ არა სტუდენტი გახდე 14 წლისა.

ინსტიტუტში ილხამმა დამოუკიდებლად შეისწავლა უმაღლესი მათემატიკის საუნივერსიტეტო კურსი, ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში, კონფერენციებსა და სემინარებზე. უკვე მესამე კურსზე, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე ორი წლით ადრე, მან შეიმუშავა სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების გეგმები.

დისერტაციის დაცვისთანავე მე ვთხოვე ილხამ მამედოვის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის გამგეს, პროფესორ ალი ნოვრუზოვს ემსჯელა თავის მოწაფეზე.

— თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ არაფერი ზებუნებრივი ილხამს არ გაუკეთებია. ასე, მაგალითად, საკანდიდატო კი არა, სადოქტორო დისერტაციების დაცვაც კი 25-30 წლის ასაკში ჩვენს ქვეყანაში იშვიათი როდია, ხოლო ხელოვნების, სპორტის სფეროში დიდ წარმატებებს აღწევენ 12-15 წლისანებიც კი, არსებითად ბავშვები. აქსელერაცია უეჭველი ფაქტია. უნარის ადრე გამოვლენა ნორმად ხდება. ილხამმა თავისი დიდი შრომისმოყვარეობით და, რა თქმა უნდა, ნიჭით, იდეალურად და ძალიან ადრე გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, რომლებიც მას ჰქონდა მინიჭებული. და შესძლო კიდეც გაესწრო დროისათვის.

თვითონ ილხამი რაღას ამბობს?

— პროფესორი მართალია. სკოლა, შინ დამოუკიდებელი მეცადინეობა, ნორჩ ტექნიკოსთა წრეში სიარული, მუსიკა, ჭადრაკი, თეატრი, კინო, სპორტი — ყველაფერ ამას ყოველდღიურად 10-12 საათს ვუთმობდი. დატვირთვა რა თქმა უნდა დიდია, მაგრამ აუცილებელი, რათა არ ჩამორჩე ინფორმაციის იმ უზარმაზარ ნაკადს, რომელსაც ადამიანი აწყდება.

— დღეს, როცა უკვე მათემატიკოსი ხართ, როგორია თქვენი ინტერესების წრე?

— იგი ოდნავადაც არ შემცირებულა. მაგალითად, მე არ ვაცდენ ბახის მუსიკის არც ერთ კონცერტს, ყურადღებით ვადევნებ თვალს ანატოლი კარპოვის პარტიებს — ანალიზს ვუკეთებ, ვსწავლობ მათ.

— კი მაგრამ, მეცნიერული მუშაობის გარდა, თქვენ ხომ ინსტიტუტშიაც ასწავლით?

— ალბათ, ერთიცა და მეორეც მომავალში დიდ ძალასა და ბევრ დროს მოითხოვს, ამიტომ იძულებული ვიქნები, არჩევანი მოვახდინო. ვფიქრობ, უპირატესობას მეცნიერებას მივაკუთვნებ.

**ვ. გრიგორიევი,**
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.
ბაქო.

# ფრთხილად, ღვარცოფი!

ტრიალ მინდორზე არ ჩანს არცერთი ხე, არცერთი ბუჩქი, მხოლოდ მძიმე წებოვანი ტალახი და უზარმაზარი, თითქოს მიწაში ჩაზრდილი კაჟრები მოსჩანს. აქ მოხდა დიდი სტიქიური უბედურება — მოვარდა ღვარცოფი. წყლის, ტალახისა და ქვების ნიაღვარმა უდიდესი სიჩქარით ჩაიქროლა და ყველაფერი წალეკა თავის გზაზე.

ღვარცოფსაწინააღმდეგო სამსახურმა უნდა შეისწავლოს ღვარცოფის წარმოშობის მექანიზმი, შეიმუშაოს ბუნების ამ მრისხანე მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ამიერკავკასიაში პირველი სამთო-სამელიორაციო ღვარცოფსაწინააღმდეგო სადგური შექმნილია არაგვის ხეობაში დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთის მახლობლად.

ღვარცოფების, მათი წარმოშობის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ღვარცოფის კვლევის სექტორის გამგე ლ. სულაქველიძე.

—ბუნების დაცვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ ის არის გადარეცხილი ნიადაგების შექმნის, საირიგაციო სისტემებისა და წყალსაცავების დალამიანების, გრუნტის წყლის დებეტის შემცირების, ახალი ხრამების გაჩენის, გზების დანგრევის მიზეზი. ეროზიულ პროცესებს მოულოდნელი წყალდიდობა მოსდევს და თავისი შედეგებით დამანგრეველ ქვაღორღის ტალახიანი ნაკადების — ღვარცოფის მიზეზია.

არაგვის ხეობაში მდებარე სამთო-სამელიორაციო სადგური აღჭურვილია თანამედროვე ავტომატური აპარატურით. სპეციალური გადამწოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ღვარცოფის ნაკადის სიჩქარე, მისი დონე, სხვა პარამეტრები, და რაც მთავარია, შეგვიძლია დავადგინოთ ამინდის უტყუარი პროგნოზი ღვარცოფის წარმოშობის პერიოდში. უფრო ვრცელი ინფორმაციის მისაღებად გათვალისწინებულია ყაზბეგის რაიონში მდინარე ყუროს აუზში შეიქმნას სპეციალური საყრდენი პუნქტი. აქედან გარემოს გეოლოგიურ-კლიმატური ცვლილებების მონაცემებს გაგზავნიან სადგურში. (საქინფორმი).

# მიწისძვრა შუა აზიაში

ტაშკენტი, 17 მაისი. (საკდესი). ნიადაგის ძლიერი რყევა იგრძნობოდა დღეს მოსკოვის დროით 6 საათზე შუა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე. სეისმური ტალღების წყარო გახდა დიდი მიწისძვრა სამხრეთ ყიზილყუმში. აქ, ეპიცენტრში, რეგისტრირებულია 9-ბალიანი ბიძგი.

ქალაქ ღაზლიში, რომელიც 70 კილომეტრზე მდებარეობს ეპიცენტრის სამხრეთით, იგრძნობოდა დაახლოებით 8-ბალიანი ბიძგი, ტაშკენტში, რომელიც ამოსავლეთით 485 კილომეტრზეა, — 5-ბალიანი ბიძგი. ექვსბალიანი მიწისძვრა რეგისტრირებულია სამარყანდში, 6-7-ბალიანი ბიძგი — ბუხარაში.

წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრამ ზოგან მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ხორციელდება საგანგებო ღონისძიებანი მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად და დაზარალებულთა დასახმარებლად.

## ჭადრაკი

# ორი ლიდერი

**ამსტერდამში** გრძელდება 4 დიდოსტატის მატჩ-ტურნირი, რომელიც ფიდე-ს პრეზიდენტ მაქს ეივეს 75-ე წლისთავს, ეძღვნება.

მეორე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი ყაიმზე შეუთანხმდა ოლაფსონს (ისლანდია), ხოლო აშშ-ს ჩემპიონმა ბრაუნმა წააგო ჰოლანდიის ჩემპიონ ტიმანთან. გადადებული პარტიის დამთავრებისას კარპოვმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და დაამარცხა ბრაუნი.

მესამე ტურში კარპოვ-ტიმანი და ბრაუნ-ოლაფსონი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ კარპოვსა და ოლაფსონს ორ-ორი ქულა აქვთ, ტიმანს — ერთნახევარი, ხოლო ბრაუნს — ნახევარი.

# საქართველოს პირველობაზე

**ბრძოლა** საქართველოს პირველობაზე ჭადრაკში გადამწყვეტ ფაზაში შედის.

მეცხრე ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ეს არის ოსტატი უბილავა, რომელმაც მოუგო ცქიტიშვილს და ახლა 9 შეხვედრიდან 7,5 ქულა აქვს. ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტი, ოსტატი ჩიქოვანი დამარცხდა კალატოზიშვილთან და ახლა 6,5 ქულით მეორე ადგილზეა.

მეცხრე ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: ვეფხვიშვილმა მოუგო ჭიპაშვილს, ჯანოევმა — შოგირაძეს, კაპანაძემ — გრძელიშვილს, სტურუა და ზაიჩიკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მაია ჩიბურდანიძეს 3 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

## მოკლედ

**ველოსპორტი.** მშვიდობის 29-ე ველორბოლის მონაწილეებმა უკან მოიტოვეს მეშვიდე ეტაპი, რომლის 11-კილომეტრიანი ტრასა ვარშავის ქუჩებში გადიოდა. ფინიშზე პირველი იყო პოლონელი ტადეუშ მიტნიკი — 14 წუთი და 25,1 წამი. მეორე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ სტანისლავ შოზდას, მესამე — რბოლის ლიდერს ჰანს-იოხიმ ჰარტნიკს (გდრ). საბჭოთა მრბოლი ნიკოლოზ გორელოვი მერვე იყო. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან პოლონელები. მეორე ადგილზეა გდრ-ის, მესამეზე — სსრ კავშირის ნაკრები.

**ტულაში** გაიმართა ველოსპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება (მეორე ტური) და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. სპრინტი დამაჯერებლად მოიგო კიშინოველმა ა. იაბლუნოვსკიმ. გიტში 1000 მეტრზე ადგილიდან უძლიერესი იყო ე. რაპი (ომსკი), ინდივიდუალურ რბოლაში გამოდევნებით — ვ. ოსოკინი (ლენინგრადი), გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე — პროფკავშირთა ნაკრები, ხოლო წყვილთა რბოლაში 50 კილომეტრზე — რიგელები ა. ბურავსკი და ა. ლისენკო.

**მძლეოსნობა.** სოჭში დამთავრდა სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრებთა ორდღიანი მატჩი მრავალჭიდში. გაიმარჯვეს საბჭოთა მძლეოსნებმა — 76.481:71.410 (ქალებმა — 22.469:20.722, ვაჟებმა — 54.012:50.688). ხუთჭიდში გამარჯვებულმა ლენინგრადელმა ლიუდმილა პოპოვსკაიამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 4.783 ქულა. ათჭიდელთა ბრძოლა მოიგო სტავროპოლელმა ალექსანდრე გრებენიუკმა — 8.330 ქულა. ეს შედეგი მიმდინარე სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში.

**საბჭოთა** ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა ქალაქ დემბლინში პოლონეთის ღია ჩემპიონატი მარათონულ რბენაში. სტარტზე გამოვიდა 12 ქვეყნის 130 სპორტსმენი. ფინიშზე პირველი იყო ჩელიაბინსკელი ლეონიდ მოსეევი — 2 საათი, 12 წუთი, 19,8 წამი. მეორე შედეგი აქვს მინსკელ ალექსანდრე გოცკის, მესამე — პერმელ იური ველიკოროდნიხს.

**მოტოსპორტი.** 22 წლის მოსკოველმა მრბოლმა ანატოლი ოვჩინიკოვმა მოიგო კვირას ლვოვში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი 250 კუბ. სმ. მოცულობის ძრავების კლასში.

**რეგბი.** საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში კვლავ დამარცხდნენ თბილისის გუნდები, რომლებიც ამჟამადაც მასპინძლები იყვნენ: „ივერიამ" წააგო მოსკოვის „ავტომობილისტთან" — 0:12, ხოლო „ლოკომოტივმა" — კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდთან — 6:24.

## სპორტი

## ფეხბურთი

# ხუთი მატჩი

კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გამართული ხუთი შეხვედრით დამთავრდა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეშვიდე ტური. მოგვყავს მისი შედეგები:

ცსკა — „სპარტაკი" — 1:2.
„არარატი" — „ჩერნომორეცი" — 4:0.
„დნეპრი" — „ზარია" — 2:0.
„შახტიორი" — „დინამო" კ. — 0:0.
„დინამო" მნ. — „კრ. სოვეტოვი" — 2:0.

# გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ლიგა

შვიდი ტურის შემდეგ

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „არარატი" | 4 | 1 | 2 | 10-4 | 9 |
| „დინამო" თბ. | 4 | 1 | 2 | 8-4 | 9 |
| „შახტიორი" | 3 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| „დინამო" მ. | 3 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| „კარპატი" | 4 | 1 | 2 | 9-8 | 9 |
| ცსკა | 3 | 2 | 2 | 9-5 | 8 |
| „ჩერნომორეცი" | 3 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| „დნეპრი" | 3 | 1 | 3 | 7-6 | 7 |
| „დინამო" კ. | 2 | 3 | 2 | 3-2 | 7 |
| „ზენიტი" | 2 | 2 | 3 | 5-6 | 6 |
| „დინამო" მნ. | 2 | 2 | 3 | 4-6 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი" | 2 | 2 | 3 | 5-8 | 6 |
| „სპარტაკი" | 2 | 2 | 3 | 3-6 | 6 |
| „ტორპედო" | 2 | 1 | 4 | 8-11 | 5 |
| „ზარია" | 1 | 3 | 3 | 2-8 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 1 | 1 | 5 | 7-10 | 3 |

# უცხოეთის სტადიონებზე

**ლონდონი.** შოტლანდიის ნაკრებმა გლაზგოში ანგარიშით 2:1 (1:1) დაამარცხა ინგლისის გუნდი და ექვსი ქულით დიდი ბრიტანეთის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზეა ინგლისის, მესამეზე — უელსის, მეოთხეზე — ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები.

**ბელგრადი.** იუგოსლავიის ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩისათვის ემზადება უელსის გუნდთან, ამხანაგური შეხვედრა მოუგო ინგლისის კლუბ „სტოკ სიტის" — 3:1 (1:1). გამარჯვებულთაგან სამივე ბურთი გაიტანა ერკოვიჩმა.

**რომი.** იტალიის ჩემპიონობა მეშვიდედ მოიპოვა ტურინის „ტორინომ". მან გათამაშების უკანასკნელ მატჩში ფრედ — 1:1 ითამაშა „ჩეზენას" კლუბთან და ერთი ქულით გაუსწრო „იუვენტუსს".

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელმა იეჟეკმა გამოაცხადა თავისი გუნდის შემადგენლობა, რომელიც 22 მაისს ევროპის პირველობაზე კიევში საბჭოთა ნაკრებთან შესახვედრად ემზადება. აი, ეს შემადგენლობაც: მეკარეები — ვიქტორი და ვენცელი, დაცვა — დობიაში, ბიროში, პივარნიკი, ონდრუში, იურკემიკი, ი. ჩაპკოვიჩი, გოეგი, ნახევარმცველები — კნაპი, მოდერი, პანენკა, პოლაკი, თავდასხმა — შვეჰლიკი, ნეჰოდა, პეტრაში, გალისი და მასნი.

## სროლა

# მ. პაპავას რეკორდი

**კვირას** სოხუმის მახლობლად, დაბა ეშერას სასროლეთზე დაიწყო სსრ კავშირის პირველობა ტყვიის სროლაში.

პირველსავე დღეს დიდ წარმატებას მიაღწია ქართველმა მსროლელმა, სოხუმელმა ექიმმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მარლენ პაპავამ („დინამო"). მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე მან 577 ქულა მოაგროვა (60 გასროლით) და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

საქართველოს სპორტკომიტეტმა მ. პაპავა გუშინ საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა.

## ჩოგბურთი

# საბჭოთა ნაკრები — ნახევარფინალში

**დასავლეთ** გერმანიის ქალაქ ბადჰომბურგში დამთავრებული დევისის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში სსრ კავშირისა და გფრ-ის ჩოგბურთელთა შორის, ჩვენმა გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 4:1. ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ ერთეულთა შეხვედრებში გამარჯვების შემდეგ მოიგეს წყვილთა ასპარეზობაც.

კვირის შეხვედრებს უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეეძლოთ: ა. მეტრეველმა სძლია ი. ფასბენდერს — 6:3, 3:6, 6:1, 6:3, ხოლო თ. კაკულიამ წააგო უ. პინნერთან — 4:6, 5:7, 5:7.

ახლა საბჭოთა ნაკრები გათამაშების ნახევარფინალში (ევროპის „ა" ზონა) შეხვდება ესპანეთის გუნდს.

## ძიუდო

# ოდესის ხალიჩაზე

**კვირას** ოდესაში დამთავრებულ საკავშირო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): მოსკოველი რ. დიმიტრიევი, ალმაათელი ა. ივანოვი, ლენინგრადელი ვ. რომანოვი, კიშინოველი ა. ზერა, კიეველი პ. პინიგინი, მახაჩკალელი რ. აშურალიევი, ლენინგრადელი ვ. ნოლოუილოვი, მოსკოველი ა. პროკოპჩუკი, გროზნოელი ა. ბისულთანოვი და ორჯონიკიძელი ს. ანდიევი.

228 ათლეტს შორის აქ არ იყვნენ ცნობილი ქართველი ფალავნები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი (იგი ამ ტურნირიდან გაათავისუფლა ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნოდარ მოდებაძე, რომელიც ტრავმის გამო არ გამოდიოდა ხალიჩაზე.

# თბილისის საერთაშორისო

**თბილისის** ალპიურ კლუბში დამთავრდა წყალბურთის საერთაშორისო არბიტრების სამდღიანი სემინარ-კონფერენცია, რომელიც მოაწყო წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ და ფინა-ს (საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც აერთიანებს მცურავებს, წყალბურთელებს, წყალში მხტომელებსა და მხატვრული ცურვის ოსტატებს) წყალბურთის კომიტეტმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.



# მხედრებმა სეზონი გახსნეს

**თბილისის** იპოდრომზე საზეიმოდ გაიხსნა ახალი სეზონი დოღებში. გაზაფხულის მზიან დღეს ათასობით თბილისელმა ნახა ჩვენი ქვეყნის ცხენსაშენთა ორასზე მეტი საუკეთესო ცხენი, ცნობილი მხედრების მ. ჯაბაევის, ა. ხარჯიხიანის, ი. კოჯინას, ხ. ემინოვის, ი. ნიელსკის, გ. ხეჩიკაშვილისა და სხვათა ოსტატობა. გათამაშდა ტრადიციული პრიზები.

**სურათზე:** ლიდერთან შიდილში.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## სხვა გაზეთებიდან

# ძარცვავენ კოლექციებს

ქალაქ [illegible] (თურქეთი) ცნობილი [illegible] მუზეუმიდან „გოდიონიდან" გაიტაცეს მეფე მიდასის მმართველობის დროინდელი 50 უნიკალური ექსპონატი, იუწყება ანკარის ჟურნალი „აქტუელი". ეს არის ოქროთი და ვერცხლით მოზარნიშებული ნივთები — კერამიკული ჭურჭელი და სხვადასხვა მორთულობა. ძარცვა მოახდინეს პროფესიონალებმა, რომლებიც დასპეციალებული არიან ძველი საბერძნეთის, ბიზანტიისა და რომის მატერიალური კულტურის ძეგლების გატაცებაში.

თურქეთის საზოგადოებრიობამ დიდი ხანია განგაში ატეხა იმის გამო, რომ იპარავენ ძვირფას, დიდი სამეცნიერო ღირებულების მქონე კოლექციებს. შემდეგ ეს კოლექციები ამერიკელი და ევროპელი მილიონერების კერძო მუზეუმებში ხვდება. მაგალითად, თურქმა მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს ჰერაკლეს 12 გმირობის მარმარილოს კომპოზიციის აღდგენა, რადგან ამ ძეგლის ნაწილი თავის დროზე ქურდებმა მოიპარეს.

# სინათლე ქუჩაში

**ქუჩის** ნათურები. შეუმჩნევლად დგანან ისინი თავიანთ შეუცვლელ ვახტზე შემოდგომის წვიმიან ღამეებში თუ თებერვლის ქარბუქში...

უკანასკნელ ხანებში გზის საფარი უფრო მრავაფეროვანი გახდა, გაიზარდა მოძრაობის სიჩქარე. აქედან გამომდინარე ამაღლდა მოთხოვნილებაც ქუჩების განათებაზე. ქუჩის განათება დამაბრმავებლად არ უნდა ბრწყინავდეს და ამავე დროს საკმაოდ ინტენსიური უნდა იყოს. ამიტომ შეიქმნა ქუჩების, გზების და მოედნების გასანათებელი ახალი სტანდარტის ფანრები.

ახალი სტანდარტი განსაზღვრავს ფანრის დასაშვებ სინათლეს, არეგულირებს ნათურის სიმძლავრეს. ამაღლდა კონსტრუქციის საიმედოობა. ახალი ფანრები ყოველგვარ ამინდში გაანათებენ ქუჩას. მათ საკვანძო სამაგრებს შეუძლიათ ქარიშხალსაც კი გაუძლონ.

**სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის პრეს-ცენტრი.**

## შემთხვევა

# დაწვას გადაარჩინეს

**თბილისში,** ოქტომბრის ქუჩაზე მცხოვრებ ლ. ქიქოძის ბინას ხანძარი გაუჩნდა. ხალხის ყვირილზე სწრაფად მოცვივდნენ კარის მეზობლები, დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან ცეცხლის ალები ყოველ წამს მატულობდა, რაც საშიშროებას უქმნიდა მეზობლებსაც. ხალხმა შეუტია სტიქიას, სახანძრო რაზმის მოსვლამდე ხანძრის კერა თითქმის მოსპეს. განწირული ოჯახის დიასახლისს ცეცხლი მოეკიდა, აივანზე გავარდა და შველას ითხოვდა. იმარჯვა მეზობელმა ამირან ქექნაძემ, აივნიდან ალმოდებული დიასახლისი გადაიყვანა და დაწვას გადაარჩინა. ლ. ქიქოძე საავადმყოფოში სამკურნალოდ მოათავსეს.

აქვე გვინდა გულისტკივილით აღვნიშნოთ: სადარბაზოში არსებული ცეცხლ-საქრობები წესრიგში რომ ყოფილიყო, ხანძარს უფრო ადრე ჩააქრობდნენ.

**ვ. მაისურაძე.**

## ამინდი

**გუშინ** დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდი იდგა, 13 საათზე დაბლობ რაიონებში 15-19, მთებში 13-16 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. ყველაზე მეტი სითბო, 23 გრადუსი გურჯაანში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 17-21, მთებში 13-17 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 22 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმაა მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 11-16 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 18-24, მთებში 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი სითბო.

# გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

გთხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადაუხადოთ იმ ორგანიზაციებს, ამხანაგებსა და მეგობრებს, ვინც გაიზიარა ჩვენი ღრმა მწუხარება მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილის გარდაცვალების გამო.

**მ. ლელაშვილის ოჯახი.**

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## ტელევიზია

### 18 მაისი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — VIII კლასელთათვის — ფიზიკა, 17.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აგვისტო ჩრდილოეთში", 18.25 — განცხადებები, 19.10 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები", 19.40 — „ბლობუსი" — ფერადი გამოსახულებით, 20.35 — სპორტული მიმოხილვა, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „სკკპ XXV ყრილობა — თანამშრომლობის ჰორიზონტები", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „ქართველი მომღერლები დიდი თეატრის სცენაზე".

**მეორე პროგრამით**

18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფართო ნაბიჯი", 18.35 — VIII კლასელთათვის — ალგებრა, 19.20 — განცხადებები, 19.25 — მასწავლებლის საათი — ხაზვა, 20.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვარციხჰესის მშენებლები", 20.20 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.50 — კინონარკვევი — „ქალაქი თერგზე", 21.00 — სტუდენტთათვის — პოლიტეკონომია, 21.30 — მხატვრული ფილმი „აბუ რაიჰან ბირუნი" (II სერია).

## რადიო

### 19 მაისი

**პირველი პროგრამით**

06.35 — მუსიკა კინოფილმებიდან, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფრაგმენტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00—ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ნ. რიმსკი-კორსაკოვი — სიმფონიური სუიტა, 11.40 — „პოეტური რვეული", 12.10 — ახალგაზრდობისათვის — „მივლინება რადიომსმენელის თხოვნით", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — საოპერო მუსიკა, 14.00 — მღერის ზ. ბაბი, 17.15 — მღერის ლ. გოცირიძე, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა"", 18.10 — აფხაზეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 18.45 — ი. ფრენკელი — სიმღერები, 19.00 — საუბარი „შრომის სტიმულები და მათი ეფექტიანი გამოყენება", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი" — ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი): შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი. 21.45 — ფ. შოპენი — საფორტეპიანო პიესები, 22.00 — „შინმოუსვლელთა დედა". დოკუმენტური მოთხრობა, 23.30 — ქართული საოპერო მუსიკა.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრი

### 18 მაისი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი (დასაწყისი დღის 8 საათზე); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ძველი თბილისის სურათები.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—93-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 93-73-80, ხამდივნოხა — 99-66-10 განყოფილებები: პარტიული—99-87-81, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08852

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14